

აზამინის უფლებათა ღირებობრივი  
ადამიანის უფლებათა და კაცონის უზრუნველყოს  
ზოგადი ღირებობრივი  
ევროპის საბჭო  
F-67075 Strasbourg Cedex

ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი არომატის  
არასამართლო მოყვარებასა და დაცვებულობასშიან პროცესის ხალხალების

## არასამართლო მოყვარების გამოქიანა საქართველოში: ეროვნული ვითი ანგარიში

ჯიმ მარტინი

თებერვალი 2013

Funded  
by the European Union  
and the Council of Europe



COUNCIL OF EUROPE  
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented  
by the Council of Europe

---

Funded  
by the European Union  
and the Council of Europe



COUNCIL OF EUROPE



---

Implemented  
by the Council of Europe

ევროპის კავშირისა და ევრობის საგამოს ერთობლივი პროგრამა  
არასათანალო მოვარდობასა და დაცვალებასთან პროცესის ხაზურება

# არასათანალო მოვარდობის გამოყიერა საქართველოში: მიმოხილვითი ანგარიში

პირ ერაყოფი

წინამდებარე გამოცემა დაფინანსებულია ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ. იგი დაიბეჭდა ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - „არასათანადო მოპყრობისა და დაუსჯელობის აღმოფხვრის ხელშეწყობა“ - ფარგლებში. ნაშრომის ავტორი ერთობლივი პროგრამის გრძელვადიანი კონსულტანტია.

ადამიანის უფლებათა ეროვნულ დონეზე  
განხორციელების ხელშეწყობის განყოფილება  
ადამიანის უფლებათა პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტი  
ადამიანის უფლებათა დირექტორატი  
ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატი  
ევროპის საბჭო  
F-67075 Strasbourg Cedex

წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ წარმოშობს ევროპის კავშირის, ევროპის საბჭოს ან იმ ორგანიზაციის პასუხისმგებლობის საკითხს, რომელშიც ავტორი მუშაობს. აღნიშნული მოსაზრებები არ უნდა იქნას განხილული იმგვარად, რომ ტექსტში მოხსენიებულ სამართლებრივ ინსტრუმენტთა განმარტებები სავალდებულოა წევრ სახელმწიფოთა მთავრობებისათვის, ევროპის კავშირის ან ევროპის საბჭოს საწესდებო ორგანოთათვის ან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით შექმნილი ნებისმიერი სხვა ორგანოსათვის.

## შინაარსი

ნინასიტყვაობა.....	5
1. კვლევის ფარგლები; შიდასახლების მოწოდების და პრაქტიკა; ეროვნული მოწოდები.....	7
2. შიდასახლების მოწოდების და იქანიზირებული საკითხები – ციხეებში არასათანალო მოპყრობის თაობაზე საჩივრების გამოძიება.....	14
ა. საჩივართა კომუნიკაციის არხების დაბლოკია.....	16
ბ. გამოძიება: საქმარისი მტკიცებულებები .....	21
3. არასათანალო მოპყრობის პრალდებულებების ან ნიშნების ეფექტის მართვის ყოვლისმომავლი სისტემის შემუშავა – კომანდარი და რეკომენდაციები.....	28
ა. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; ადეკვატურობა; დროულობა; მსხვერპლის საქმარისი ჩართულობა; და ღიაობა საზოგადოებრივი კონტროლის მეშვეობით) .....	29
ბ. საქმარისი უწყებათაშორისი კოორდინაცია .....	33
ც. კონტროლი და ანგარიშვალდებულება .....	36
დ. მოტივაცია არასათანალო მოპყრობის აღმოფხვრელად .....	39
ე. სხვა დაკავშირებული საკითხები .....	40
4. კოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო არასათანალო მოპყრობაზე საჩივრებისა და ა.შ. განხილვის სისტემა – მომღევეობის შევეძრები .....	46
რეკომენდაციების შეჯამება: მიმართება ციხეებთან დაკავშირებით .....	48
დასკვნა .....	53



## ნინასიტყვაობა

წამების აკრძალვა საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმაა. მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულებები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ხაზგასმით მიუთითებს, რომ პირის უფლება, არ დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკა, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას, არის აბსოლუტური. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი „წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას, რომელსაც ეფუძნება ევროპის საბჭო“<sup>1</sup>. მე-3 მუხლის ტექსტი ლაკონურია; წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა არის აბსოლუტური. ამგვარად, სახელმწიფოებს ევალებათ, რომ არასათანადო მოპყრობა სისხლის სამართლის დანაშაულად გამოაცხადონ მეაფიო სამართლებრივი ნორმებით და სისხლის მართლმსაჯულების სისტემა ეფექტიანი გახდონ - სხვა ღონისძიებებთან ერთად, სათანადო სისხლისსამართლებრივი სანქციებით.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია, როცა არასათანადო მოპყრობის კვალი ჩნდება პირის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნისას. თავისუფლების აღკვეთის ადგილები, არსებითად, ჩაკეტილი სივრცეა. ხშირად რთულია ნებისმიერი გარე ორგანოსათვის - პროკურორებისა და სასამართლოების ჩათვლით - იმის გამოვლენა, თუ რა მოხდა სინამდვილეში. საქმისნარმოების კონკრეტულ საფეხურზე არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს იმის დადგენა, რომ არ ჩატარდა ეფექტიანი გამოძიება, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი მოითხოვს. სასამართლოს იურისპუდენციაში კონკრეტულ საქმეებზე გამოვლენილია ჩავარდნები არასათანადო მოპყრობის სარწმუნო ფაქტებზე ჩატარებული გამოძიებისას, თუმცა იგი არ მსჯელობს არც არასათანადო მოპყრობის მიზეზებზე და არც საჭირო ინსტიტუციონურ ცვლილებებზე.

ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, შეგვესწავლა საქართველოს სასჯელალსრულების სისტემაში არსებული ვითარება და განგვეხილა, რა რეფორმები გატარდა წინასწარი დაკავების იზოლატორებში წინავიზიტის შემდგომ. ამან სამუალება მოგვცა შევხვედროდით სახელმწიფო მოხელეებსა და სისხლის მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე სხვა პირებს. მათი გახსნილობა და აშკარა მცდელობა, განახორციელონ რეალური ცვლილებები, მიანიშნებს პროგრესზე საქართველოში, თუმცა

1. Soering v United Kingdom (1989) A 161, პუნქტი 88.

შემდგომი ნაბიჯები კვლავ გადასადგმელია (როგორც უმეტესი ევროპული სახელმწიფოს შემთხვევაში). წინამდებარე ანგარიში ასპარეზს აძლევს უფრო ფართომასშტაბიან დებატებს.

კვლევა ჩატარდა და ანგარიში დაიწერა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში - „არასათანადო მოპყრობასა და დაუსჯელობასთან ბრძოლის ხელშეწყობა“.

## **1. კვლევის ფარგლები; შიდასახელმიწოდებლივი პრინციპები; კანონმდებლობა და პრაქტიკა; ევროპული მოღონები**

1. ვიზიტი მიზნად ისახავდა იმ ფარგლების შესწავლას, რომლებშიც პოლიციისა და ციხის თანამშრომელთა მხრიდან არასთანადო მოპყრობა-აზე საჩივართა გამოძიების მარეგულირებელი ნორმების სამართლებრი-ვი ჩარჩო და ფაქტობრივი განხორციელება აკმაყოფილებს ევროპულ მოლოდინებს შიდასახელმწიფო მექანიზმების გასაძლიერებლად შემდგომ რეკომენდაციათა შემუშავების თვალსაზრისით.
  2. ანგარიში უპირატესად ეფუძნება ინტერვიუებს, რომლებიც ჩატარდა თბი-ლისში 2013 წლის 11-16 თებერვალს. ამ პერიოდში საჯეოლალსრულებ-ის, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო რამდენიმე მნიშვნელოვან რეფორმას ატარებდა.<sup>1</sup> აღნიშნული ვიზიტი, მართალია, ციხის საკითხებზე იყო ორიენტირებული, მაგრამ ეს შესა-ძლებლობა გამოყენებული იქნა წინასწარი დაკავების იზოლატორებში არსებული მდგომარეობის შესასწავლად (ავტორმა ეს საკითხი ვრცლად განიხილა 2009 წელს). შესაძლებელი გახდა საჯეოლალსრულების ორი დაწესებულებისა და დროებითი დაკავების ორი იზოლატორის მონახ-ულება თბილისის მასშტაბით. ამ კვლევის მიზნებისათვის ჩატარებული ინტერვიუები მოიცავდა დისკუსიებს პროფესიონალებთან, რომლებიც მუშაობენ ან პასუხისმგებელი არიან პენიტენციალური სისტემის კონკ-რეტულ მნიშვნელოვან ასპექტებზე.<sup>2</sup>
  3. კვლევის ჯგუფს დახმარება გაეწია ძალიან მაღალ დონეზე, კერძოდ, მიხისტრებისა და მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან. შესაბამის სამთავრობო დეპარტამენტებს მიეცათ შესაძლებლობა, წარმოედგინათ შენიშვნები ამ ანგარიშის პროექტზე, აგრეთვე, მნიშვნელოვანი ფაქტო-ბრივი დაზუსტება და სასარგებლო მითითებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებების თაობაზე. კვლევის საკითხებთან დაკავშირებით იგრძნობოდა აშკარა და სრული მზაობა ჩვენს გუნდთან თანამშრომლობისათვის. მადლიერებას გამოვხ-ატავთ ასეთი ხანგრძლივი და სრულყოფილი დახმარებისათვის. პრო-ექტის ჯგუფის წევრები იყვნენ ჯიმ მერდოკი (ექსპერტი) და თინათინ უფლისაშვილი (პროექტის რეგიონული ოფიცერი). აქვე უნდა აღინიშ-
- 
1. ქვემოთ განხილულია რამდენიმე ასეთი მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელთა განხორ-ციელებაც 2012 წლის ოქტომბრიდან დაიწყო, მათ შორის, რეფორმები სამედიცინო მომსახურებისა და კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების კუთხით.
  2. ამასთანავე, გამართა შეხვედრები შინაგან საქმიანი სამინისტროს მაღალი თანამდე-ბობის პირებთან 2009 წლის ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა პოლიციის მიმართ საჩივრების განხილვს, და განხორციელდა ვიზიტები შსს-ს დაქვემდებარე-ბულ ორ დაწესებულებაში. ქვემოთ იხ. პუნქტები 57-61.

ნოს, რომ, ზოგადი დათქმის თანახმად, ანგარიშში გამოთქმული მოსაზ-რებები ეკუთვნის ექსპერტს და არა ევროპის საბჭოს.

4. საერთაშორისო სამართალი მოითხოვს, რომ შეიძასახელმწიფობრივი კანონმდებლობა ითვალისწინებდეს მთელ რიგ მატერიალურ და პრო-ცესუალურ ღონისძიებებს ნამების აკრძალვის პრაქტიკაში ეფექტი-ანად განსახორციელებლად.<sup>3</sup> ყველაზე თვალსაჩინო ამოსავალი წერ-ტილია შეიძასახელმწიფობრივი კანონმდებლობის არსებობა, რომელიც ახდენს არასათანადო მოყყრობის კრიმინალზურის. უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო დებულებებს ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელშიც სათანადო ცვლილებებია შეტანილი. ზოგადი ნაწილი განსაზღვრავს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგე-ბლობის ფარგლებს,<sup>4</sup> რაც აგრეთვე შესაძლოა წამოიქრას უმოქმედო-ბისას (შესაბამისად, პატიმრის მიმართ ძალის მართლსაწინააღმდეგო გამოყენების აღკვეთის შეუძლებლობა<sup>5</sup> ან შეუტყობინებლობა ინვესტიციების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას). აღნიშნული კოდექსი ით-ვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ დანაშაულის სიმძიმის მიხედვით.<sup>7</sup>
3. მაგ., სახელმწიფოთა მიერ ნაკისრ ვალდებულებები გაეროს წამების წინააღმდეგ კონ-კენციის მხედვით: არასათანადო მოყყრობის ბრალდებათა გამოძიების ვალდებულების გარდა (ამ ხელმექრულების მე-12 მუხლის შესაბამისად), კონვენციით გათვალისწინებული ელექტრონური მოცავს აუცილებელ „საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სასამართლო ან სხვა სახის ზომებს“ (მუხლი 2); წამების ყველა აქტის კრიმინალზურას შეიძასახელმწი-ფოებრივი კანონმდებლობის თანახმად (მუხლი 4); საყოველთაო ორისდექციის შემოღე-ბას ან წამების აღიარებას ესტრადიციის გამომწვევა დანაშაულად; პასუხისმგებლობას სხვა სახელმწიფოების დახმარების მიზნით სისხლის სამართლის საქმეებზე წამებასთან ფაკულტეტებით (მუხლები 5 და 8); წამების ჩანაბრში ეჭვიტანილობის პირს დაბატიმრე-ბას ან სხვა სამართლებრივი ზომების გამოყენებას მის გამოსაცხადებლად სასამართლოს წინაშე (მუხლი 6); სამართალდამცველი ორგანოებისა და სხვა შესაბამისი პერსონალის ტრენინგს (მუხლი 10); რეკულაციების, ინსტრუქციების, მეთოდებისა და სამართალდამ-ცველი ორგანოების პრაქტიკის სისტემატურ გადახედვას (მუხლი 11); საჩივრით მიმართვის სათანადო სისტემის ფუნქციონირებას (მუხლი 13); წამების შემთხვევაში სამართლიან და ადეკვატურ კომპენსაციას (მუხლი 14); და იმის უზრუნველყოფას, რომ ნებისმიერი განცხ-ადება, რომელიც დადგინდება, რომ გაკეთებულია წამების შედეგად, ან იქნას გამოყე-ნებული მტკუცებულების სახით მსხვერპლის წინააღმდეგ (მუხლი 15).
4. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგე-ბლობადაცემისრეგბა არა მხოლოდ ორგანიზაციონს (პირი, რომელმაც მოაწყო დანა-შაულისჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას), არამედ აგრეთვე პირს, რომელიც დაიყოლიებს სხვა პირს დანაშაულის ჩასადენად ან ხელს შეუწყობს დანაშაულის ჩა-დენას, სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 24. ამსრულებლისა და თანამონაზილის პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრება დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 25.
5. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 375.
6. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 376.
7. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 71(1): პირი თავისუფლდება სისხლის სამართ-

5. პრაქტიკაში ორი სახის დებულებები ქმნის მოხელეთა სამართლებრივი დევნის საფუძველს ძალის მართლსაწინააღმდეგო გამოყენებისათვის.<sup>8</sup> ერთი მხრივ, მთელი რიგი მუხლები ეხება წამებას ან სხვა არასათანადო მოპყრობას. სისხლის სამართლის კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს ძალის არაკანონიერად გამოყენების ხარისხებს მსხვერპლისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინებით.<sup>9</sup> კერძოდ, „წამებას“ განმარტება სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-ე მუხლში მოცემულია ისეთი სახით, როგორიც შეესაბამება გაეროს კონვენციას წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ.<sup>10</sup> ცალკე დებულება არსებობს წამებისა და არა-ადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობის მუქარის თაობაზე<sup>11</sup>. მოხელის მხრიდან წამება ან არაადამიანური თუ ლირსების შემლახველი მოპყრობა დამამძიმებელ გარემოებად ითვლება წებისმიერ შემთხვევაში.<sup>12</sup> მეორე მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსის დებულებები ითვალ-

- ლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა 2 წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას; ექვსი წელი - სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან; ათი წელი - მძიმე დანაშაულის ჩადენიდან; 15 წელი - 332-ე-342<sup>1</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენიდან, რომლებიც არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს, ხოლო 25 წელი - განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.
8. 2003 წლის თებერვლის განხილვების დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ პროკურორს შექლებოდა სისხლის სამართლის კოდექსის იმ დებულებების გამოყენება, რომლებიც ეხება ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. ამ ანგრიშში ჩვენ არ განვიხილავთ ამ მოსაზრების მართებულობას.
9. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 117 (ჯანმრთელობის განზრაა მძიმე დაზიანება) და მუხლი 118 (ჯანმრთელობის განზრაა ნაკლებად მძიმე დაზიანება); პირველი ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 8 წლამდე ვადით, ხოლო მეორე - თავისუფლების აღკვეთას 5 წლამდე ვადით.
10. ე.ი. პირისთვის, მისი აპლი ნათესავისათვის ან მასზე მატერიალურად ან დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხსაიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკიფოლს ან ფიზიკურ ან მორალურ ტანჯვებს და რომლის მიზანია ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება ანდა პირის დასჯა მის ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან საგარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის
11. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 144<sup>1</sup>-3.
12. სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 144<sup>1</sup>: დამამძიმებელი გარემოება მოიცავს წამებას, რომელიც ჩადენილია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ (მუხლი 144<sup>1</sup>(2)(a)) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (მუხლი 144<sup>1</sup>(2)(b)). გათვალისწინებული სასჯელი მოიცავს თავისუფლების აღკვეთას ვადით ცხრიდან თხუთმეტ წლამდე და თორმეტიდან ჩვდილება - დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას. მუხლი 144<sup>2</sup> აგრეთვე კრძალავს წამების მუქარას (რომელიც ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით). მუხლი 144<sup>3</sup> კრძალავს არაადამიანურ და ლირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას (ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების შეზღუდვას 3 წლამდე ვადით ან თავისუფლების აღკვეთას ვადით ორდან ხუთ წლამდე; დამამძიმებელი გრემოებების არსებობისას, სასჯელი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ოთხდან ექვს წლამდე). სანდაზმულობის ვადა არ მოქმედებს ამ დანაშაულებთან მიმართებით.

ისწინებს სისხლის სამართლებრივ სანქციებს იმ სამართალდარღვევის მიმართ, რომელიც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ეხება. კერძოდ, 332-ე მუხლი ეხება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ხოლო 333-ე - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას. პროკურორების აზრით, აღნიშნული ორი დებულება საკმიოდ ფართოა და გამოყენება პატიმრების მიმართ ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლის შემთხვევებში. თუმცა, როგორც ჩანს, მოხელეთა წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა წარსულში ხორციელდებოდა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლებით და არა „წამების“ ან სხვა მძიმე ფიზიკური ზეწოლის, სულ მცირე, სამართალდამცველი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან მიყენებული დაზიანებისათვის.<sup>13</sup>

6. ნაკლებად სავარაუდოა, რომ პირს საკმარისად იცავდეს წამებისა და არაადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის მხოლოდ შიდასახელმიწოდებრივი კანონმდებლობით აკრძალვა. კერძოდ, თუ ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდება არასათანადო მოპყრობის ფაქტი, რომელიც სისასტიკის დონით ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში ექცევა, ამავე მუხლით იგი ვალდებულია, დაიწყოს გამოძიება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მნიშვნელოვანია, არსებობდეს „საკმარისად მკაფიო მინიშნებები, რომ ადგილი ჰქონდა წამებას ან არასათანადო მოპყრობას“,<sup>14</sup> ან „საფუძვლანი პრეტენზია“ არასათანადო მოპყრობის შესახებ, რაც წარმომობს „გონივრულ ეჭვს“.<sup>15</sup> ასეთი მიღომა ეფუძნება არასათანადო მოპყრობის თანახმად: „პრეტენზიაზე წამება ისჯებოდა 335-ე ... და აგრეთვე 332 [და] 333-ე მუხლების თანახმად“. მთვარი პროკურატურის მიერ გამოცემული შიდა სახელმძღვანელო მითითებები პროკურორებისათვის არის მცდელობა, წაახალისოს არასათანადო მოპყრობის ბრალდების გამოძიების დაწყება 144(1)-(3) მუხლებზე მითითებით (რომელიც გულისხმობს წამებას, არაადამიანურ ან ლირსების შემლახველ მოპყრობას) და არა 332-ე ან 332-ე მუხლების შესაბამისად: მთვარი პროკურატურა, სახელმძღვანელო მითითებები, 2005 წლის 7 ოქტომბერი. აღნიშნული მითითებები ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა აფიციალურად, თუმცა ისინი ასახავს „წამების“ განსაზღვრების ძირითად ასევექტებს: ა) ძლიერი ფაზიკური ტერორისტული ან სულიერი ტანჯვა (ტეროილის ან ტანჯვის მიყენება, ან ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ინვესტიციების ფინანსირების ან ტანჯვისა როგორიცაა შიმშილი, პარტიის წარმომადგენელი) და ბ) მიყენებულია მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიზნით; ან დამინება, ან იძულება, ან დასჯა (მთო შორის, ტეროილის ან ტანჯვის მიყენება ნათესავისა ან მსხვერპლზე დამიკიდებული პირისათვის, აღნიშნული მიზნებით).
14. *Bati and Others v Turkey* 2004-IV, პუნქტი 133 (გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ლირსების შემლახველი მოპყრობისა ან დასჯის ქმედითი გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო („სტამბოლის ოქტომბერის 19“).
15. მაგალითად, ჩაირიბასპილი ვ ჩეორგა (29 ივლისი, 2008), პუნქტი 64: „განმცხადებლის მიერ ადგილობრივი ორგანოების წნაშე წარდგენილი ბრალდებები შეიცავდა საკმარის კონკრეტულ ინფორმაციას - არასათანადო მოპყრობის თარიღს, ადგილსა და

ბის მიზანმიმართულ გამოყენებას. ეფექტიანი გამოძიების მოთხოვნა პიზიტიური ვალდებულებაა, რომელსაც სახელმწიფოები კისრულობენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირებისას. ის აგრეთვე ეფუძნება იმ მნიშვნელოვან პრინციპს, რომ, პირველ რიგში, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა განმარტონ თავისუფლებაალკვეთილი პირისათვის მიყენებული დაზიანება, და რომ პირი არ არის ვალდებული, დაადგინოს მისი გამომწვევი მიზეზები. ამდენად, აღნიშნული პროცესუალური ვალდებულება სათანადოდ განიხილება, როგორც განცალკევებული და ავტონომიური მოვალეობა (და, შესაბამისად, „განყენებული ვალდებულება“). მოთხოვნის მიზანი - მოხელეთა პასუხისმგებლობა - განუყოფელია მისი დასაბუთებისაგან.<sup>16</sup> გამოძიების ვალდებულება კლასიფიცირებულია „არა შედეგის, არამედ საშუალების ვალდებულებად“<sup>17</sup>, თუმცა არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების პროცედურების დადგენა სახელმწიფოების პრეროგატივაა. ვალდებულება მოიცავს მთელ რიგ კომპონენტებს, გამოძიების დაწყების საშუალების უზრუნველყოფიდან ადეკვატური სასჯელის შეფარდებამდე, როდესაც ეს შესაძლებელია. ამგვარად, პასუხისმგებლობით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ყველაზე უკეთ განიხილება, როგორც საერთო პასუხისმგებლობა, როდესაც ყველა - პოლიტიკოსი, დამოუკიდებელი გამომძიებელი, ბრალდების ორგანო და მოსამართლე - ასრულებს თავის მოვალეობას.

7. უფრო კონკრეტულად, მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი ჩარჩო უნდა აკმაყოფილებდეს ეფექტიანობის არსებით კრიტიკულებს (დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; ადეკვატურობა; დროულობა; მსხვერპლის საკმარისი ჩართულობა; ღიაობა საზოგადოებრივი კონტროლის მეშვეობით); იყოს კოორდინირებული; ექვემდებარებოდეს კონტროლს (სამართალწარმოების შეჩერებისა თუ შეწყვეტის ან დევნაზე უარის თქმის შემთხვევებში, ვალდებულება ვრცელდება ასეთ გადაწყვეტილებათა კანონიერების სასამართლო განხილვაზე ან სასამართლოს წინაშე სამარ-

ხასიათს, სავარაუდო დამაშავეთა ფინანსას, მიზეზობრივ კავშირს სავარაუდო ცემასა და დადასტურებულ ჯანმრთელობის პრობლემებს შორის და ა.შ., იმისათვის, რომ ჩათვლილიყო საფუძვლიან პრეტენზიად, რომლის ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულება ეისრეგბა ხელისუფლებას“.

16. *Bekos and Koutropoulos v Greece* (13 დეკემბერი, 2005), პუნქტი 53: „როდესაც პირი დასაბუთებულად ამტკიცებს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა მე-3 მუხლის სანინააღმდეგო მოპყრობას პოლიციის ან სხვა მსგავსი სახელმწიფო უწყებების მხრიდან, აღნიშნული დებულება [პირველ მუხლთან ერთად] იმპლიკატურად მოითხოვს, რომ უნდა არსებობდეს ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება. წინააღმდეგ შემთხვევაში, წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის ზოგადი სამართლებრივი აქტებისა და ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებლობას მისცემდა სახელმწიფო მოხელეებს, მათ დაერღმიათ კონტროლქვეშ მყოფ პირთა უფლებები, ფაქტობრივად, ყველგვარი დასჯის გარეშე ...“.
17. *Barabanshchikov v Russia* (8 იანვარი, 2009), პუნქტი 54.

თალნარმოების ინიცირების შესაძლებლობაზე სისხლის სამართლებრივი სარჩელის მეშვეობით, როდესაც ამას ითვალისწინებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა) და იყოს მოტივირებული გადაწყვეტილებით არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის თაობაზე.<sup>18</sup> ყოველივე ამის ბირთვს წარმოადგენს მიზნის შესაფერისად მოქმედების გადაწყვეტილება. შესაბამისად, „ხელისუფლებამ შეძლებისდაგვარად უნდა მიიღოს ყოველგვარი გონივრული ზომა, რომ უზრუნველყოს მტკიცებულებები ინციდენტის შესახებ, მათ შორის *inter alia* დეტალური განცხადება სავარაუდო მსხვერპლის ბრალდებასთან დაკავშირებით, თვითმხილველთა ჩვენება, სასამართლო ექსპერტიზისა და, თუ ეს შესაძლებელია, დამატებითი სამედიცინო დასკვნები, რომლებიც სრულად და ზედმინევნით ასახავს დაზიანებებს, ასევე სამედიცინო დასკვნების ობიექტური ანალიზი, კერძოდ, დაზიანებათა მიზეზების შესახებ“, როგორც „გამოძიებისას გამოვლენილი ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც ხელს უშლის დაზიანების მიზეზის დადგენას, ხოლო პასუხისმგებელი პირი სტანდარტის დარღვევის ნინაშე აღმოჩნდება.“<sup>19</sup>

8. საქართველოში გამომძიებელს ან პროკურორს ეკისრება პასუხისმგებლობა, გამოიძიოს ძალის გადაჭარბებული გამოყენების ბრალდება ან ნიშნები, რომლებიც დანაშაულია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად. ასეთი ნიშნები შესაძლოა ეფუძნებოდეს საჩივარს, სხვა ორგანოს მხრიდან მომართვას ან ინფორმაციას, რაც იძლევა ძალის გამოყენების ვარაუდის საფუძველს (მაგალითად, სამედიცინო დასკვნა, რომელშიც ნათევამია, რომ პატიმარს ალენიშნება დაზიანება).<sup>20</sup> გამოძიების დაწყება აგრეთვე შესაძლებელია ანონიმური წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე.<sup>21</sup> არ არსებობს დისკრეცია - გამომძიებელი ან პროკურორი ვალდებულია, დაიწყოს გამოძიება, როდესაც მიიღებს ინფორმაციას დანაშაულის ჩადენის თაობაზე. გამოძიება უნდა ჩატარდეს „გონივრულ ვადაში“.<sup>22</sup> სისხლის სამართლის საპროცე-
18. აგრეთვე იხილეთ სვანიძის სახელმძღვანელო მითითებები არასათანადო მოპყრობის ეფექტუანად გამოძიების საერთაშორისო სტანდარტების თაობაზე (2010).
19. *Bati and Others v Turkey* (3 ივნისი, 2004), პუნქტი 134.
20. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 101 (ნინასწარი გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოვლინდა სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების დროს).
21. დანაშაულის შესახებ ინფორმაცია შეიძლება ეფუძნებოდეს რამდენიმე წყაროს (მათ შორისაა: ფიზიკური ან იურიდიული პირი; სახელმწიფო ან თეოთმმრთველობის ორგანო; საჯარო მოხელე; ოპერატორულ-სამძებრი ორგანო; მსჯავრდებული, რომელიც ბრალს აღიარებს; მედიასაშუალება; ანონიმური წყარო იმ პირობით, რომ ფაქტები სარწმუნოა და ექვემდებარება გადამოწმებას); ინფორმაციის შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს წერილობითი ან ზეპრი ფორმით: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 101).
22. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 103 (გამოძიების ვადა არ უნდა აღმატებოდეს შესაბამისი დანაშაულისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადას).

სო კოდექსი მკაფიოდ არ განსაზღვრავს გამოძიების დაწყების ვადას<sup>23</sup>. ის ითვალისწინებს მთელ რიგ გარემოებებს, რომელთა არსებობისას უნდა შეწყდეს გამოძიება ან მიღებული იქნეს გადაწყვეტილება დევნის შეწყვეტაზე.<sup>24</sup> გადაწყვეტილება გამოძიების ან/და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე არ საჩივრდება სასამართლოში, თუმცა შესაძლებელია მისი გასაჩივრება ზემდგომი პროცესორის წინაშე.<sup>25</sup> პირი, რომელიც ამტკიცებს, რომ გახდა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი, ისევე დაიკითხება, როგორც თვითმხილველი და სავარაუდო სამართლდამრღვევი. შესაძლებელია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება პროცესორის დადგენილების საფუძველზე. პირი, რომელიც ამტკიცებს არასათანადო მოპყრობას, შეიძლება ხელახლა დაიკითხოს მოვლენათა განსხვავებულად წარმოდგენისას შეუსაბამობის შემთხვევაში, თუმცა არ არსებობს არანაირი „დაპირისპირების“ შესაძლებლობა ამ პირისა (რომელიც ამტკიცებს არასათანადო მოპყრობას) და სავარაუდო სამართლდამრღვევის ჯვარედინი დაკითხვის მეშვეობით სისხლის სამართლაწარმოებისას.<sup>26</sup>

9. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი არსებითი სამართლებრივი მოვლენა საქართველოს კანონმდებლობაში, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ეფექტუარი გამოძიებისათვის.<sup>27</sup> როგორც აღინიშნა, ადრე არსებობდა პრობლემა, როდესაც მიღებული გადაწყვეტილებები საჩივრის აქვარა დაუსაბუთებლობის შესახებ საბოლოო იყო, რაც გამორიცხავდა ამ საჩივრების ხელახლა განხილვას, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალსახად არ ითვალისწინებდა ასეთი საქმების ხელახლა განხილვის შესაძლებლობას. პირებს, რომლებსაც უარი ეთქვათ საჩივრის განხილვაზე გამოძიების შემდეგ, მხოლოდ იურიდიული
23. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ადრე დადგენილი ვადა ამჟამად გაუქმებულია.
24. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 105 (მათ შორის, პუნქტი (1)(T), თუ არსებობს პროცესორის შესაბამისი დადგენილება).
25. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 106(1).
26. იხ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 113: ნებისმიერი მხარის უფლება, ნებაყოფლობით გამოკითხონ ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. დაუშვებელია გამოსაკითხი პირის იძულება. აგრეთვე იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2009 წლის ნოემბერში მოწოდებული ინფორმაცია: „ჯვარედინ დაკითხვასთან დაკავშირებით [იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი] არ ითვალისწინებს აღნიშულ სამართლებრივ ინსტრუქტს. თუმცა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი [ძალაშია 2010 წლის 10 ოქტომბრიდან] ითვალისწინებს ჯვარედინი დაკითხვის ინსტიტუტს სისხლის სამართლის სფეროში სხვა სიახლეებთან ერთად.“ შესაბამისად, მოწმეთა დაკითხვა (პირდაპირი და ჯვარედინი) შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისას. ეს პროცედურა რეგულირდება 115-ე მუხლის თანხმად (დაკითხვის ზოგადი წესი).
27. როგორც აღინიშნა, 2013 წლის თებერვლის განხილვების დროს დაახლოებით 440 საქმე, რომლებიც ეხებოდა სიკვდილს ან არასათანადო მოპყრობას (ციხეში, მიმდინარეობდა გამოძიება შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების მხრიდან და დღისათვის დაახლოებით 33 პირია ბრალდებული წამებისათვის.

დახმარების უფლება პქონდათ იმ შემთხვევაში, თუ მათი უფლება გასაჩივრებაზე (ანუ გაესაჩივრებინათ პროკურორის გადაწყვეტილება საქმის დახურვის თაობაზე) ამონურული არ იყო. 2012 წლიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით წებადართული გახდა სისხლის სამართლებრივი დევნის განახლება გარკვეული გარემოების არსებობისას (თუმცა აღნიშნული რეფორმის ფარგლები არ იყო სრულად გასაგები დისკუსიების დროს ზოგიერთი მონაწილისათვის).<sup>28</sup>

## **2. შიდასახელმიზოვრივი კონტექსტი და იღებითი ციფრული საკითხები – ციხეები არასათანადო მოყვრობის თაობაზე საჩივრების გამოძიება**

10. ანგარიშის დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში პატიმართა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. სტატისტიკის<sup>29</sup> თანახმად, 2009 წელს საქართველო ერთ სულ მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით ევროპის საბჭოში მეორე ადგილზე იყო (ყოველ 100 000 სულ მოსახლეზე 538 პატიმარი).<sup>30</sup> ეს რიცხვი გაიზარდა ადრინდელ მაჩვენებელთან შედარებით და, როგორც ჩვენთვის ცნობილია, დაახლოებით 830-ს მიაღწია ყოველ 100 000 სულ მოსახლეზე (2003 წელს ყოველ 100 000 სულ მოსახლეზე 147 პატიმარი იყო).<sup>31</sup> ასეთი ზრდა განპირობებული უნდა იყოს სასჯელთა შეკრების (რაც განსხვავდება სასჯელთა შთანთებისაგან) პოლიტიკით, რის გამოც წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა შენიშვნები გამოთქვა ციხეების გადატვირთულობისა<sup>32</sup> და

28. Cf სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 108(1) (ზემდგომ პროკურორს ან სასამართლოს შეუძლია გააუქმოს დადგენილება ან განჩინება სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ; და მუხლი 106(1) (გადაწყვეტილება გამოძიების შეწყვეტაზე არ საჩივრდება სასამართლოში, იგი დაზარალებულმა შეიძლება ერთვერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან). შენიშვნა: პროკურორს შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს სასამართლოს განჩინება სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 107.
29. nb. SPACE-ის ანგარიში, რომლებიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/prisons/space\\_i\\_EN.asp](http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/prisons/space_i_EN.asp) შენიშვნა: SPACE-ის ზოგიერთი მონაცემი ეხება საქართველოს ტერიტორიას, გარდა აფხაზეთისა და სამხრეთისა.
30. nb. SPACE 2011, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [http://www.coe.int/t/dghl/standard-setting/prisons/Conferences/CDAP%20Marcelio%20F%20Aebi\\_Natalia%20Delgrande%20Speech.pdf](http://www.coe.int/t/dghl/standard-setting/prisons/Conferences/CDAP%20Marcelio%20F%20Aebi_Natalia%20Delgrande%20Speech.pdf)
31. nb. Doc PC-CP (2004) 6 rev, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: [http://www.coe.int/t/dghl/standard-setting/prisons/SPACEI/pc-cp%20\\_2004\\_%206rev%20-%20e%20\\_SPACE%20!%202003\\_.pdf](http://www.coe.int/t/dghl/standard-setting/prisons/SPACEI/pc-cp%20_2004_%206rev%20-%20e%20_SPACE%20!%202003_.pdf)
32. მაგალითისათვის nb. CPT/Inf (2007) 42, პუნქტი 32: ეს ფაქტორი „უარყოფით გავლენას ახდენდა ცახეში ცხოვრების ყველა ასპექტზე - სანიტარულ და ჰიგიენურ პირობებზე, სასერინოდ გაყვანაზე, პაემნებისა და სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებებზე, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე. ეს სა არ არის ამომწურავი“. საქართველოში გადატვირთულება გამორჩეულად თვალსაჩინო იყო წინასწარი პატიმრობის მთავარ დაწესებულებში „ყველაზე დიდი გადატვირთულობა (400%-ზე მეტი) ციხეში, რომელიც პატიმრების საერთო რაოდენობის ერთ მეოთხედს იტევდა, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა.“ შემდგომში აღნიშნულია, რომ „დელევაცია ყველაზე დიდი გადატვირთულობის (400%-ზე მეტი) მომსწრე გახდა წინასწარი პატიმ-

პატიმართა შორის დაშინების რისკის<sup>33</sup> შედეგებთან დაკავშირებით. მას შემდეგ პატიმართა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.<sup>34</sup> (თუმცა, ორ ციხეში ვიზიტისას ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ, ციხის მენეჯმენტის აზრით, კვლავ არ არსებობდა „სათანადო ბალანსი“, ერთი მხრივ, შიდა უსაფრთხოებასა და მართლწესრიგს, მეორე მხრივ, სხვა პატიმართა უფლებების პატივისცემას შორის. მართალია, ეს არ წარმოადგენს მოცემული კვლევის ფარგლებში განსახილველ საკითხს, მაგრამ დახმარება სათანადო სტრატეგიების იდენტიფიცირებისათვის - კერძოდ, იმ პატიმართა მართვის მხრივ, რომლებიც შიდა უსაფრთხოებისათვის საშიშროებას ქმნიან მათვის შეფარდებული ძალიან გრძელვადანი სასჯელის თვალსაზრისით - შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს. ეს ერთი კონკრეტული სფეროა, რომლისთვისაც გარედან დახმარება და კონსულტაცია შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

11. 2013 წლის თებერვლის დისკუსიები ორიენტირებული იყო საპატიმრო დაწესებულებებში სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიების მექანიზმებზე. ძირითადად გამოვლინდა პრობლემები კომუნიკაციის კუთხით (რაც მოიცავდა ისეთი აღტერნატიული მექანიზმების არარსებობას, რითაც მოხერხდებოდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე საჩივრის ან პრეტენზიის გამოაშკარავება), აგრეთვე, ხარვეზები არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრებსა ან ნიშნებზე რეაგირებისას (კერძოდ, პროკურორთა მხრიდან იმის განსაზღვრისას, არის თუ არა საკმარისი

რობის მთავარ დაწესებულებაში, №5 საპყრობილები, რომელიც პატიმრების საერთო რაოდენობის ერთ მეოთხედს იტევდა.“

33. დისკუსიების დროს აღნიშნა, რომ პატიმრებს შორის ძალადობას წარსულში ხელს უწყობდ ციხის ადმინისტრაცია, რაც მიზნად ისახავდა პატიმრების დასჯეს. ეს ფენომენი აღნიშნა ეროვნული პრევენციული მექანიზმის, ომბუდსმენის, ანგარიშის. პრობლემებზე აგრეთვე მიუთითა წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ: CPT/Inf (2005) 12, პუნქტი 62: „მოუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ციხის თანამშრომელთა მყენები ნაკლებობა და დაბალი პროპორცია იმ თანამშრომელებისა, რომლებიც მუშაობენ პატიმართა საცხოვრებელ ტერიტორიაზე რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებასა და თბილისის №5 საპყრობილები, ართულებს სიტუაციის კონტროლს და ზრდის პატიმართა შორის ძალადობას“. ციხის თანამშრომელები აღიარებდნენ ამ პრობლემს და ცდილობდნენ მის მოყვარებას პოტენციურად საჭიში პატიმრების იდენტიფიცირებით დაწესებულებაში მოყვანისას და მათი ცალკე მოთავსებით, ასევე, ციხის შეინით ძალადობრივი შემთხვევებისა და პატიმართა მიერ მიყენებული დაზიანებების დაფიქსირებით. მოუხედავად ამისა, დელეგაციის დაკვირვების თანახმად, პატიმრებს შორის არსებობდა არაფინანსური ძალაუფლების სტრუქტურები, რომლებიც აკონტროლებდენ ცხოვრებს ციხის შიგნით, რაც ხელს უწყობდა გამოისლვასა და დაშინებას. ასეთი სტრუქტურები თვალშისაცემი იყო ყველა დაწესებულებაში, სადაც ვიზიტები განხორციელდა. გამონაკლისი იყო ქალთა დაწესებულება; ის პატიმრები, რომლებიც ამ სტრუქტურებს განკუთხნებოდნენ, უკეთეს მატერიალური პირობებით სარგებლობდნენ და თავსაფლად გადადგილდებოდნენ საპატიმროს ტერიტორიაზე.
34. 2013 წლის იანვრის სტატისტიკის თანახმად, სულ 14077 პატიმარია, რომელთაგან 928 წინასწარ პატიმრობაში იმყოფება.

მტკიცებულებები სრულფასოვანი გამოძიების ჩასატარებლად).

### **ა. საჩივართა კომუნიკაციის არხების დაბლოკვა**

12. გამოძიების სისტემის მკაფიო წინაპირობაა, არსებობდეს შესაბამისი ორგანოების წინაშე სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ან სხვა წინაშების შესახებ საჩივართა შეტანისა და განხილვის ეფექტიანი საშუალება. დისკუსიებისას აღინიშნა რამდენიმე ხარვეზი, რომლებიც ეხებოდა ანგარიშების გადაცემის დაბლოკვას, რადგან ჩვენს ვიზიტამდე, დაახლოებით, ხუთი თვით ადრე უამრავი საჩივარი იქნა შეტანილი წარსულში პატიმრობისას არასათანადო მოპყრობის ბრალდებასთან დაკავშირებით. ამ დრომდე პატიმრების ფორმალური საჩივრების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საჩივრების განხილვის შიდასახელმწიფო-ბრივი მექანიზმები არაეფექტურიანი იყო. ამასთანვე, როგორც გვითხრეს, პატიმრები, სავარაუდოდ, სანქციის დაკისრების შიშით, უარს ამბობდნენ შესაძლებლობაზე, თავიანთი პრეტენზიები ეცნობებინათ მონიტორინგის ჯგუფისათვის. ეს ანგარიში არ იყვლევს იმას, ისჯებოდნენ თუ არა რეალურად პატიმრები ამის გამო: ის ფაქტიც კი, რომ ამ საკითხს ასე მკვეთრად აღიქვამდნენ, საკმარისია დასკვნისთვის, რომ საჩივრის სათავე - პატიმარი - გაუვნებელყოფილი იყო. პატიმრებს ეშინოდათ, რომ მათი ლაპარაკი შესაძლოა მოესმინათ. შიში ეფუძნებოდა გონივრულ ეჭვს, რომ ციხის თანამშრომლებმა დანერგეს პატიმრებსა და მნახველებს (მაგალითად, ადვოკატს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მონიტორინგის ორგანოებს),<sup>35</sup> შორის საუბრის ელექტრონული მონიტორინგის უკანონო სისტემა; აგრეთვე სჯეროდათ, რომ ხელისუფლებას მათი საუბრის მოსასმენად შეეძლო გამოეყენებინა საკენებში „ჩახერგილი“ პატიმრები. გარდა ამისა, არსებობდა მოსაზრება, რომ საჩივრებს, რომლებსაც პროკურორი მიიჩნევდა აშკარად დაუსაბუთებლად, შესაძლოა შედეგად გამოეწვია სისხლის სამართლებრივი სანქციის შეფარდება.
13. მიღებული შედეგი სავალალო ალმოჩნდა. მანამდე წარმატებული ინიციატივა, კერძოდ, საჩივრის ფორმების ახალი სისტემა, სრულყოფილად არ ამჟავდა - ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსებული ინიციატივით, ფორმები ადვილად ხელმისაწვდომი უნდა გამზდარიყო და შესაძლებელი ყოფილიყო მათი დალუქვა და გაგზავნა გარე უწყებებისათვის.<sup>36</sup> პატიმ
- 
35. როგორც გვითხრეს, უკანონდ დამონტაჟებული ვიდეო და აუდიო მოსასმენი სისტემა აღმოჩენილია, სულ მცირე, 6 ციხეში. ამ საკითხს ამჟამად შეისწავლის შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტო. ერთ-ერთ ციხეში, რომელიც მოვინასულება კვლევის მიზნებისათვის (წინასწარი პატიმრობის მთავარი დაწესებულება თბილისში), გვითხრეს, რომ მოსასმენი აღჭურვილობა აღმოჩინეს მხოლოდ ერთი თვით ადრე ჩვენს ვიზიტამდე.
36. ერთ ციხეში, რომელიც 2013 წლის თებერვალში მოვინახულეთ, ფორმები ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ მათ არ მოიხსენია სამართლებრივი სანქციის შეფარდების გამოეწვია სისხლის სამართლებრივი სანქციის შეფარდება.

რებს არც სატელეფონო საშუალებებზე მიუწვდებოდათ კონფიდენციალურად ხელი სხვების გასაფრთხილებლად, რადგან აღნიშნული საშუალებები ისე იყო განლაგებული, რომ გამორიცხავდა კონფიდენციალობას.<sup>37</sup>

14. პატიმართა საჩივრების პირდაპირი კომუნიკაციის ასეთი დაბლოკვა არ ნარმოადგენდა ერთადერთ ხარვეზს. სხვა პირების მიერ სავარაუდო არა-სათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ საჩივართა კომუნიკაციის ალტერნატიული არხები, იმ შემთხვევაშიც კი, როცა პატიმარი არ ჩიოდა, არაეფექტიანად მიიჩნეოდა, რადგან ციხეებში სუფევდა დასჯის შიში.
15. ციხის სამედიცინო პერსონალს უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომობა კომუნიკის ეფექტიან არხებზე, რათა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები აცნობონ ხელმძღვანელობასა და ციხის საგამოძიებო სამსახურებს. თუმცა, მათ ამის საშუალება არ ჰქონდათ. პირველ რიგში, ჩანს, რომ პატიმრები, რომლებიც ითხოვდნენ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობას, შესაძლოა დასჯილიყვნენ, თუ ჩაითვლებოდა, რომ ასეთი მომსახურება არ იყო აუცილებელი. მეორე, აშკარად შეინიშ-

დომი იყო, მაგრამ პატიმრებს კვლავ სჭირდებოდათ, მოეთხოვათ საწერი კალამი ან ფანქარი, თუმცა, როგორც ნათევში იყო, ასეთი ხელმისაწვდომობა მათ თავისთავად ჰქონდათ; ხოლო მეორე ცხენში საერთოდ არ არსებობდა არანაირი ფორმები, თუმცა, თვალსაჩინოდ იდგა საჩივრის წერილებისათვის განკუთვნილი ყუთი. Cf CPTI Int (2010) 27, პუნქტი 119: „ახალი პატიმრობის კოდექსი ითვალისწინებს საჩივრების პროცედურას, რომლის თანამადაც, პატიმრებს შეუძლია ისარგებლონ ადვოკატის დამატებით საჩივრო მიმართვისას. ყველა დაწესებულებაში უნდა იყოს საჩივრის დახურული ყუთები, რომლებსაც ყველდღიურად გახსნის სოციალური მუშაკი ფანქსებულების დირექტორის ან მისი ნარმობულების თანდასწრებით. დირექტორის სახელზე დაწერილ საჩივრებს არსებოთად 5 დღის ვადში უნდა გაეცეს პასხის, ხოლო საჯარდასრულების დაწესებულების სახელზე დაწერილს - 10 დღის ვადში (განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია ვადის 1 თვედე გაგრძელება). საჩივრების წამებისა და არაადამიანური ან ლირსების შემთხვევით მოპყრობის შესახებ უნდა წარედგინოს დირექტორს ან ეროვნულ პრევენციულ მექანიზმს 24 სათის განმავლობაში, და დაუყოვნებლივ იქნეს განხილული. საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება, გასაჩივრდეს სასამართლოში ადმინისტრაციული წესით. ციხის ხელმძღვანელობაზე პატიმრები უნდა უზრუნველყოს საჩივრის დასაწერად აუცილებელი საშუალებებით (ქაღალდი, კონვერტი, საწერი კალამი და ა.შ.). ამავდროულად, დაუშვებელია პატიმრის დასჯა საჩივრის დაწერის გამო.“

37. ერთ-ერთ ციხეში, რომელიც მოვინახულეთ, გვითხრეს, რომ პატიმრებს, როგორც წესი, თვეში მხოლოდ სამჯერ შეეძლოთ თავიანთი ოჯახის წევრებთან დაკავშირება ტელეფონის მეშვეობით. არ არსებობდა რაიმე რეგულაცია ან პასქეტიკა, რაც პატიმარს გარე უწყებასათან დაკავშირების საშუალებას მისცემდა, რომელსაც ჰქონდა საჩივრებს ტელეფონით მიღების უფლებამოსილება. ნებისმიერ შემთხვევაში, ერთ-ერთ ციხეში, რომელიც მოვინახულეთ, პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი ტელეფონი რამდენიმე მეტრით იყო დაშირებულ ციხის თანამშრომლს მაგიდიდან, რომელიც დაწესებულების ამ ფლეგელის პირველ სართულს მეთვალყურეობდა. ანგარიშის დაწერის დროსაც კი არც ერთ ციხეში, რომლებიც მოვინახულეთ, არ არსებობდა ადვილი ხელმისაწვდომობა სამინისტროს ინსპექციის სამმართველოს მიერ დაწესებულ „ცხელ ხაზზე“.

ნებოდა, რომ ციხეში მომუშავე სამედიცინო პერსონალი განიცდიდა აუტანელ და სრულიად შეუფერებელ ზენოლას, რათა თვალი დაეხუჭა ყოველგვარ არასათანადო მოპყრობაზე, რომლის მოწმეც გახდებოდა. ჩვენ მოვისმინეთ დასაბუთებული მტკიცებულება, რომ ყველაზე შეზღუდულ კრიტიკასაც კი (მაგ., შეეწყვიტათ არასათანადო მოპყრობა სამედიცინო პერსონალის თანდასწრებთ) შეიძლება მოჰყოლოდა იძულებით გათავისუფლება საკუთარი განცხადების საფუძველზე.<sup>38</sup> სხვა სიტყვებით რომ ითქვას, შიშის გარემო, რომელსაც თან ახლდა დაუსჯელობა, სამედიცინო პერსონალსაც ეხებოდა.

16. მხოლოდ ერთი გარე შიდასახელმწიფობრივი მონიტორინგის ორგანო სწავლობდა და აფიქსირებდა ციხეში არსებულ პირობებს სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით თავისი კომპეტენციის ფარგლებში. მაგრამ ციხეში არსებული შიშის გარემო ეფექტიანად ანეიტრალებდა ასეთ მექანიზმებს. სახალხო დამცველის აპარატის, როგორც უფლებამოსილი ეროვნული პრევენციული მექანიზმის,<sup>39</sup> მონიტორინგი არსებითად არაეფექტიანი აღმოჩნდა, რადგან, მისი თანამშრომლების თემით, პატიმრები მიიჩნევდნენ, რომ საჩივრები მაღალ რისკს შეიცავდა მათი საუბრების მოსმენის გამო და, ნებისმიერ შემთხვევაში, ყოველგვარ აზრს მოკლებული იყო, რადგან არანაირი შედეგი არ მოჰყვებოდა.
17. გათავისუფლების შემთხვევაში ყოფილ პატიმრებს ისევ არ სურდათ საჩივრით მიმართვა. მართალია, ასეთი სურვილის არარსებობა გასაგები იყო პატიმრობისას, მაგრამ გაუგებარი ჩანდა პირობით ვადამდე გათავისუფლების დროს. შევეცადეთ, გაგვეგო, თუ რამდენად შეეძლონ პრობაციას სამსახურს საჩივრების მიღება ბოლო პერიოდში გათავისუფლებული პირების მხრიდან. თუმცა, საქართველოში „პრობაცია“ არ მოიაზრება ამ ცნების ზოგადი გაგებით, რომელიც პროცესში ერთვება ციხიდან გათავისუფლების შემდეგ. იგი გულისხმობს მხოლოდ პირის ფიზიკურად გამოცხადებას განსაზღვრულ ადგილზე მისი აღრიცხვის მიზნით (მაგალითად, ელექტრონულად სკანირებული თითის ანაბეჭდების აღების მეშვეობით). როგორც ჩანს, ფაქტობრივად, არანაირი ურთიერთკავშირი არ არსებობს პრობაციის ოფიციერსა და პირს შორის.
18. კანონიერი წარმომადგენლებისათვის წარდგენილი საჩივრები ანალოგი
38. კმაყოფილი ვართ, რადგან არსებობს საკმარისი ნიშნები, რომ გარკვეულ დაწესებულებებში სამედიცინო პერსონალი ფაქტობრივად გათვითცნობიერებული ხდება. არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი დისკუსიისა მონაწილემ ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ ზოგჯერ სამედიცინო პერსონალი პასუურად მონაწილეობდა არასათანადო მოპყრობის, რამდენადაც მათგან მოელოდნენ ჩარევას, როდესაც არასათანადო მოპყრობა მეტისმეტი იყო. ამის გადამოწმებას არ ვცდილობთ, რადგან ეს სცილდება ამ კვლევის ფარგლებში.
39. ე.ი. გაეროს წამების სანინალმდევრ კონვენციის დამატებითი ოქმის შესაბამისად.

ურ პრეტენზიებს შეიცავდა, რომლებიც ეხებოდა საუბრების სავარაუდო მონიტორინგსა და პროკურორის მიმართ უნდობლობას იმასთან დაკავშირებით, რომ შეეძლო საჩივრების სერიოზულობის რაიმე ხარისხით განხილვა. უფასო იურიდიული დახმარება, რასაც უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამნისტრო,<sup>40</sup> შესაძლოა მოიცავდეს ადვოკატის მიერ ციხეში პატიმრის მონახულებას დახმარების მოთხოვნის შესახებ წერილის მიღებიდან ერთი ან ორი დღის შემდეგ. თუ არასათანადო მოპყრობის ბრალდება ასეთი საუბრისას წამოიჭრება, საკითხი პროკურატურას გადაეგზავნება შემდგომი რეაგირებისათვის. მხოლოდ 2012 წლის სექტემბრის შემდეგ დაიწყო იურიდიული დახმარების სამსახურმა მნიშვნელოვანი რაოდენობის საჩივრების მიღება დახმარების თხოვნით არასათანადო მოპყრობის ბრალდებებთან დაკავშირებით იმ პატიმართა შერიდან, რომლებიც ჯერ არ იყენენ გათავისუფლებულნი.<sup>41</sup> სხვა ხარვეზებიც აღინიშნა ასეთი მოპყრობის შესახებ საჩივრებთან მიმართებით, რომლებიც მოიცავდა ბრალდებებს სისხლის სამართლებრივი ქმედების თაობაზე და პროკურატურას გადაეცა. იურიდიული დახმარება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მხრიდან გულისხმობს მხოლოდ პროკურატურისათვის საქმის გადაცემას. შესაბამისად, სავარაუდო მსხვერპლის გაგების არარსებობა შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართალში აშკარად ზღუდავს ნებისმიერი სახის შემდგომ პოტენციურ დახმარებას.

19. ამავდროულად, არ არსებობდა საჩივრით მიმართვის ალტერნატიული მექანიზმები და საშუალებები ციხეში არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არ იყო ცათხის პერსონალის შერიდან პრობლემების გამოვანების სათანადო კულტურა.
20. გასაკვირია, რომ წარსულში ასევე არ არსებობდა ციხეების მონიტორინგის მექანიზმები დეპარტამენტის დონეზე. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იმ დროს არ გააჩნდა რაიმე ეფექტიანი მექანიზმი იმ ნიშნების იდენტიფიცირებისა და დაფიქსირებისათვის, რომ პატიმრების მიმართ შესაძლოა ადგილი
40. კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორი გამოვლინდა, რომ იმ პირებისათვის, რომლებსაც ბრალად ედებათ სისხლის სამართლებრივი დანაშაული და არ შეუძლიათ კანონიერი წარმომადგენლის აყვანა, იურიდიულ დახმარებას უზრუნველყოფს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია პენიტენციალურ სისტემაზე. თუმცა, არ არის გასაგები, ინტერესთა ნებისმიერი პოტენციური კონფლიქტი გავლენას ახდენს თუ არა აშაზე. რადგან ეს გართულებულია პატიმართა მხრიდან სამიგრით მიმრთვის სურვილის არარსებობით.
41. როგორც განვიმარტეს, იურიდიული დახმარების სამსახურს არ აქვს ყოფილი პატიმრების საჩივრებზე რეაგირების უფლებამოსილება.

ჰქონდა არასათანადო მოპყრობას. კერძოდ, გენერალური ინსპექციის განყოფილება არ შედიოდა ციხეებში, რადგან მისი როლი პერსონალის დისციპლინურ საკითხებთან მიმართებით აშკარად შეზღუდული იყო. შესაბამისად, სამმართველოს რეაგირება არასათანადო მოპყრობაზე მნიშვნელოვან სირთულეებს უკავშირდებოდა.<sup>42</sup> რამე შიდა საგამოძიებო სამსახურის (მაგალითად, სამინისტროს დონეზე) არარსებობას ვერ ანაზღაურებდა პროექტორების რეაგულარული ვიზიტები ციხეებში. მართალია, პროექტორებს აშკარად ჰქონდათ ასეთი უფლებამოსილება, მაგრამ პრაქტიკულად არ იყენებდნენ მას. მათი აღიარებით, მონიტორინგი მხოლოდ საჩივრის მიღების შემთხვევაში ხორციელდებოდა, ხოლო სხვა შემთხვევებში - არარეგულარულ საფუძველზე.<sup>43</sup>

**21. მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზი პატიმართა საჩივრების შესახებ შეუძლია არსებითი როლი ითამაშოს იმ ციხეების (მისი ფლიგელებისა და თანამშრომლების) იდენტიფიცირებაში, რომელთა წინააღმდეგაც შეტანილია საჩივრები და, ამგვარად, გააფრთხილოს ხელმძღვანელობა იმ მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე, რომლებიც სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს. ამასთანავე, შესაძლებელია ანალოგიურ საჩივრებთან დაკავშირდული მონაცემების (მაგალითად, უარი საჩივრის გაგზავნის ხელშეწყობაზე ან სანქციის დაკისრების მუქარა) გამოყენება. მაგრამ ამგვარ მონაცემთა შეგროვების სისტემა არ არის მყარი. მართალია, 2012 წლის სექტემბრამდე მნიშვნელოვანად შეზღუდული იყო საჩივრით მიმართვის შესაძლებლობა, მაგრამ მას შემდეგ უამრავი საჩივრია მიღებული წარსულში ჩადენილ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. საჩივრებთა სტატისტიკასთან დაკავშირებით ჩვენთვის მოწოდებული მონაცემები არათანმიმდევრულია, რაც არა კრიტიკის, არამედ შესწავლის ობიექტი უნდა გახდეს. ეს მნიშვნელოვანი იქნება მომავალში ზუსტი მონაცემების შესაგროვებლად, რაც შესაძლებელს გახდის სტატისტიკური მონაცემებისა და გამოძიების შედეგების მონიტორინგს.**

**22. სამოქალაქო სამართალწარმოებას შეუძლია დახმარება იმ კუთხით,**

- 
42. როგორც გვთხოვს, საჩივრების დაბალი მაჩვენებელი (75 საჩივარი 9 თვის განმავლობაში, 2012 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებიდან).
43. Cf საქართველოს მთავრობის კომისტარები წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნებსა და რეკომენდაციებზე (CAT/C/GEO/CO/3), Doc CAT/C/GEO/CO/3/Add. 1, 5 დეკემბერი, 2007, პუნქტი 44: „მონიტორინგი ხორციელდება სასჯელალსრულების დეპარტამენტის მიერ ყოველდღიურად მოწოდებული ანგარიშების საფუძველზე. აღნიშნული ანგარიშები შეიცავს *inter alia* ინფორმაციას თავისუფლებასაღვეთილი ან წინასწარი პატიმრობის დაწესებულებასა თუ მის საავამდყოფოებში მოთავსებული პირების (რომლებსაც აღენიშნებათ ფიზიკური დაზანება) და დაზიანებათა გამომწვევი პირობების შესახებ. ამ ინფორმაციის საფუძველზე ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს თანამშრომლები შედაინ დაწესებულებებში, რათა შეისწავლონ, ფიზიკური დაზიანება ხომ არ არის განპირობებული წამების ან არაადამიანური თუ ლირსების შემლახველი მოპყრობით ან დასჯით...“

რომ საზოგადოების მხრიდან ყურადღება გამახვილდეს არასათანადო მოპყრობაზე. მართალია, სამართლებრივი დაცვის ასეთი საშუალება ეფექტური გამოძიების არარსებობისას - რასაც მივყავართ სისხლის სამართლებრივ დევნამდე - არ აკმაყოფილებს სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეუძლია მსხვერპლს დაეხმაროს, რათა მან იგრძნოს, რომ კვლავ შესაძლებელია სამართლიანობის გარკვეული დონის მიღწევა. თუმცა, სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახური ხელისუფლების წინააღმდეგ საჩივრის შეტანაში არ ეხმარება პირს, რომელიც ამტკიცებს არასათანადო მოპყრობას ციხეში ყოფნისას. ნებისმიერ შემთხვევაში, მართალია, შესაძლებელია სამოქალაქო სარჩელის შეტანა, მაგრამ ასეთი საჩივრის - ისევე როგორც პოლიციის იმ თანამშრომლების წინააღმდეგ, რომლებიც არაკანონიერად და არასათანადო მოიქცნენ - თაობაზე თითქმის არ გვსმენია, ხოლო კომპენსაციის უფლება არასათანადო მოპყრობის გამო კვლავაც უპირატესად თეორიულად რჩება<sup>44</sup> (თუმცა, არ არის შეუძლებელი).<sup>45</sup>

## **b. გამოძიება: საკმარისი მტკიცებულებები**

23. შეფასების ეს ასპექტი არ გამორიცხავს სირთულეებს იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს არასათანადო მოპყრობაზე გამოძიების წარმატებით ჩატარებისა და ციხის თანამშრომელთა სამართლებრივი დევნის მნიშვნელოვანი მაგალითები. თუმცა, გარკვეული დასკვნების გამოტანა შესაძლებელია, თუ ვივარაუდებთ, რომ პროკურატურის ორგანოების მხრიდან საჩივრების განხილვა კვლავ ითხოვს ყურადღებას<sup>46</sup>.
44. საქართველოში არ არსებოს ფაქტობრივი განსაზღვრება, რომ ადგილი ჰქინინდა „სისხლის სამართლებრივ ქმედებას“, რის გამოც ჩნდება მნიშვნელოვანი ეჭვები ასეთი საჩივრის კომპეტენტურობასთან დაკავშირებით, რადგან აუკილებელია „დანაშაულის“ ჩადენის დადგენა, რათა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლს ჰქონდეს უფლება, მობატოვოს ფორმალური „მსხვერპლი“ სტატუსი ეროვნული კანონდებლობის შესაბამისად (ისევე, როგორც გადაწყვეტილება მოხელის ბრალდებაზე დანაშაულში), რომელიც მოიცავს წამებას ან არასათანადო მოპყრობას და წარმოშობს კომპენსაციის მიღების უფლებას. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე შესაძლებელია სამოქალაქო სამართალწარმოების ინიცირება სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუ მოხელეს ბრალად ედება სისხლის სამართლის კოდექსის 144<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაული (წამება, წამების მუქარა, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა). ეს უფლება არ ექვემდებარება ხანდაზმულობის ვადს.
45. პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის თაობაზე 2009 წლის ანგარიშთან დაკავშირებით, აღინიშნა ორი შემთხვევა არასათანადო მოპყრობის შესახებ, როდესაც სამოქალაქო წესით მიაკუთვნეს კომპენსაცია (დაახლოებით 4500 ევრო ანუ 10000 ლარი): დადგინდა, რომ საკვდილის მიზეზი ორივე შემთხვევაში გახდა არაადეკვატური მუქარნალობა. როგორც ამბობენ, სამოქალაქო წესით ანაზღაურება ამ დღიდან დაიწყო.
46. იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებები (რეკომენდაციების სახით) პროკურორებისათვის (მიღებულია 2009 წლის მაისში იუსტიციის მინისტრის ბრძანებით) მკაფიოდ აღიარებს მეტი გამჭ-

ზოგიერთმა მოქმედმა და ყოფილმა პროკურორმა აღიარა, რომ იცოდნენ ციხეში არსებული მდგომარეობის შესახებ, მაგრამ იძულებული იყვნენ, უგულებელეყოთ ეს პრობლემები, რათა დაებრკოლებინათ ძალიან ბევრი საჩივრის შემოსვლა: როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა შეხვედრაზე, „ეს იყო ხელშეუხებელი ციხესიმაგრე“. ერთ-ერთი აშკარა ხარვეზი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ გამოძიება გარდუვალად უნდა შეწყვეტილიყო საკმარისი მტკიცებულების არარსებობის საფუძველზე, თვითონ სისტემა კი ხელს უშლიდა მტკიცებულების შეჯერებას.

24. უპირველეს ყოვლისა, არსებობდა რეალური რისკი, რომ პირები, რომლებიც ამტკიცებდნენ არასათანადო მოპყრობას, უარს იტყოდნენ ბრალდებულზე. ერთ-ერთი პროკურორის თქმით, მტკიცებულება შესაძლოა „დაზიანებულყო“, ვიდრე პროკურატურის ორგანოებამდე მიაღწევდა. არსებობდა დაშინების საფრთხე, რის გამოც პატიმრებს შესაძლოა უარი ეთქვათ ჩვენებაზე. როგორც გვითხრეს, ეს გავლენას ახდენდა იმ პატიმართა დაკითხვის ფარგლებზე, რომლებიც არასათანადო მოპყრობის მოწმენი გახდნენ. შესაბამისად, მოწმეებიც უარს ამბობდნენ ჩვენების მიცემაზე. ერთი სიტყვით, არსებული სისტემა უგულებელყოფდა ცალკეული პატიმრების სურვილს, შეეტანათ საჩივარი და უკან აღარ გამოეთხოვათ, რადგან ასეთი ქმედება, ფაქტობრივად, განაპირობებდა გამოძიების *de facto* დამთავრებას, როგორც ამაზე მიუთითეს (მოქმედმა და ყოფილმა) პროკურორებმა. ნებართვის მიცემა ბევრად არის დამოკიდებული ცალკეული პატიმრის მზაობაზე - გამოითხოვოს მტკიცებულება, ან უარი თქვას სასამართლო ექსპერტისათვის სამედიცინო დასკვნის გადაცემაზე; ძალიან მცირე წონა აქვს პოზიტურ ვალდებულებას გადამწყვეტი ზომების მიღების თაობაზე, პატიმრის მხრიდან ფორმალური საჩივრის არარსებობის დროსაც კი. არც ის ჩანს, რომ არსებობდა საქმარისი პროცედურები იმ პატიმრების დასაცავად, რომლებიც შეეცადნენ საჩივრების სისტემის გამოყენებას და, შესაბამისად, აღმოჩნდნენ მნიშვნელოვნად მოწყვლად მდგომარეობაში, მაგალითად, სხვა ციხეში გადაყვანით.

25. მეორე, საგულისხმო ხარვეზები არსებობდა ციხეში არასათანადო მოპყრობის ნიშანთა დაფიქსირების მხრივ. ციხის სამედიცინო სამსახურები მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდნენ სავარაუდო არასათანადო

---

ვირვალობის საჭიროებას გამოძიებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნული მითითებები ჯერ კიდევ არ გამოიქვეყნებულა. პროკურორებმა და გამომძიებლებმა გამოძიება უნდა დაწყობ სავარაუდო წამებასა ან არასათანადო მოპყრობაზე ინფორმაციის მიღებისთანავე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლები 100 და 101(1)). ყველა გამოძიება უნდა ჩატარდეს გონივრულ ვადაში. „გონივრულ ვადად“ ამჟამად განსაზღვრება ორი თვე (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მცირე ვადით გაერტყება აუცილებელია გამოძიების დასასრულებლად). გამოძიება უნდა იყოს „ეფექტური და შედეგებზე ორიენტრებული“ და ჩატარდეს მიუკერძოებლად და ობიექტურად. კერძოდ, დაზარალებულიც და მოწმეებიც უნდა გამოიძახონ დასაკითხად.

მოპყრობის აღკვეთასა და იდენტიფიცირებაში. ამასთანავე, პატიმრის სამედიცინო მომსახურება და მკურნალობა ხელს შეუწყობს მიყენებული დაზიანებისა და სილურჯეების იდენტიფიცირებას, აგრეთვე, ამ დაზიანების გამომწვევი მიზეზის დასკვნის სახით დაფიქსირებას. ასეთი დასკვნა შესაძლოა ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდეს ინსპექციის, გამომიებისა და მონიტორინგის ორგანოებისათვის. თუმცა, საკმარისი საფუძველი არსებობს იმის დასადასტურებლად, რომ სამედიცინო პერსონალის მიერ დაზიანების დაფიქსირების პროცესი არადამაკმაყოფილებელია, რამდენადაც ვერ შეძლო მყარი საფუძვლის უზრუნველყოფა ასეთ შემთხვევებში ადეკვატური რეაგირებისათვის. სასამართლო ექსპერტიზის სამსახურების თანამშრომლებმა შეხვედრებზე - ციხის სამედიცინო პერსონალის ჩანაწერების ადეკვატურობასთან დაკავშირებით - სერიოზული ეჭვები გამოთქვეს ციხის სამედიცინო პერსონალის დასკვნათა ადეკვატურობის თაობაზე (კერძოდ, იმ თვალსაზრისით, რომ იყენებდნენ არატექნიკურ და არასამედიცინო ტერმინოლოგიას, ხოლო აღნერილობა უფრო ზოგადი იყო და არა კონკრეტული), რაც ართულებს ექსპერტის დასკვნის უზრუნველყოფას არასათანადო მოპყრობის არსებობისას. ამავდროულად, დაფიქსირების პროცედურა შემთხვევითი იყო.<sup>47</sup> როგორც ჩანს, სამედიცინო პერსონალს მოეთხოვებოდა მხოლოდ პატიმრის მიერ მითითებული დაზიანებების შემოწმება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამის აღნიშვნა ნაკლებად იყო შესაძლებელი ან (იქიდან გამომდინარე, რომ არასათანადო მოპყრობის მოწმე გახდა პატიმრის საკანთან სამედიცინო სამსახურის სიახლოვის გამო) უბრალოდ არასწორი იყო, როგორც ფაქტი, რომელიც მოითხოვდა დაზუსტებას. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთი ხარვეზები უფრო შესამჩნევი იყოს, როდესაც (ისევე როგორც ციხის გარეთ არასათანადო მოპყრობისას) არ არსებობს ციხის მუდმივი სამედიცინო სამსახური და სანდოობა დამოკიდებულია პერსონალზე, რომელიც ციხეში ვიზიტით იმყოფება და არ არის სპეციალიზებული პენიტენციალური ჯანდაცვის საკითხებზე ან გაცნობიერებული არ აქვს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ზუსტად დაფიქსირების მნიშვნელობა.

26. მესამე, ციხის სამედიცინო პერსონალის მიერ დაზიანებების ამგვარი არადამაკმაყოფილებელი ფორმით დაფიქსირებას, რომლებიც შესაძლოა განპირობებული იყო განზრას არასათანადო მოპყრობით, სახელმწიფო სასამართლო ექსპერტიზის სამსახურის - სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს - თანამშრომელთა მხრიდან არ მოჰყოლია რაიმე რეაგირება მიყენებულ დაზიანებასთან დაკავშირებით სწრაფი და ადეკვა-
47. როგორც დისკუსიების დროს გამოვლინდა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ დაზიანებები ხელნაწერით ფიქსირდება (რომელიც ყოველთვის გასაგებია არ არის) ორ სხვადასხვა დოკუმენტში - ზოგადი აღრიცხვის საბუთისა და თითოეული პატიმრის ჯანმრთელობის ისტორიაში. ერთ-ერთი დანესებულების ხელმძღვანელობა საერთოდ არ იყო გარკვეული მონაცემთა დაცვასა და შენახვასთან დაკავშირებულ პოლიტიკაში.

ტური ჩარევით. ნათელი იყო, რომ ეს სამსახური ვერ ასრულებდა თავის, როგორც ექსპერტიზის ჩატარების ეფექტიანი წყაროს, ფუნქციებს, რასაც რეალური ღირებულება ექნებოდა გამოძიებისა და სასამართლო-სათვის. სამედიცინო ექსპერტიზა შესაძლებელს უნდა ხდიდეს იმ პირის მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ გამოკვლევას, რომელიც ამტკიცებს არასათანადო მოპყრობას, და იძლეოდეს დასკვნას ბრალდებებისა და არსებული ვითარების ურთიერთკავშირზე. გარკვეულწილად გაოცება და შემფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ თბილისის ბიუროს წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობდნენ განხილვებში, თავიანთ როლსა და პასუხისმგებლობას არასათანადო მოპყრობის გამოძიების პროცესში ძალიან შეზღუდულად განიხილავდნენ. მართალია, პროექტორმა დასკვნისთვის უნდა მიმართოს [ექსპერტიზის] სამსახურს,<sup>48</sup> მაგრამ, ფაქტობრივად, ამ საშუალებას მინიმალურად იყენებს. რთულია, არ დაეთანხმო დასკვნას, რომ ასეთი მიმართვა როგორც პროექტორის, ისე სამსახურის მხრიდან, მხოლოდ ფორმალურ სასიათს ატარებდა და არ იყო გააზრებული მცდელობა რეალურად ღირებული მტკიცებულების მოსაპოვებლად. პროექტურისადმი მიმართვის შემთხვევაში საქმეების 90%, რომლებსაც უშუალოდ პატიმრები აგზავნიან, არც კი განიხილება. ეს ნიშნავს იმას, რომ სასამართლო ექპერტიზის ჩარევა ხშირად მეტწილად დამოკიდებულია ციხის სამედიცინო სამსახურების მიწოდებულ წერილობით დოკუმენტაციაზე და, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაკლებ სავარაუდოა, ეს დოკუმენტაცია ადეკვატური იყოს. აშკარად იგრძნობოდა, რომ სასამართლო ექსპერტიზის სამსახურის თანამშრომლები ასეთი სიტუაციის გამო იმედგაცრუებულნი იყვნენ - ისინი ღიად აკრიტიკებდნენ სამედიცინო სამსახურის თანამშრომელთა არასაკმარისი

48. n.b. CPT/Inf (2010) 27, პუნქტი 24: 2008 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ამოქმედდა 2009 წლის 1 ანვრიდან. მის საფუძველზე შეიქმნა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს მთელი რიგი აქტივობების კომპეტენცია. ამასთანავე, საქართველოს კანონმდებლობა [სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 38 (9)] ითვალისწინებს, რომ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლს ან მის ადგომაც უფლება აქვს, მოითხოვოს სამედიცინო შემოწმება და მიიღოს შესაბამისი წერილობითი დასკვნა. შემოწმება ტარდება პირის ინიციატივის საფუძველზე, საკუთარი ხარჯებით. შესაბამისად, პირი არ საჭიროს პროექტურატურის ან სასამართლოს ნებართვას. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გარდა, არსებობს რამდენიმე კერძო ექსპერტიზის ბიურო. ნამების სანინააღმდეგო კომიტეტი მიესაღმება ასეთ განვითარებას.“ სასამართლო ექსპერტიზის სამსახურის ანგარიშის თანახმად, ის ყოველწლიურად განიხილავს 20,000 მიმართვას, მათგან 300-ს - პროექტორების მოთხოვნის საფუძველზე. როგორც აღინიშნა, ადვოკატების მხრიდან ასეთი მოთხოვნა უფრო იშვიათია (5-10 წლის განმავლობაში). არ არს ნათლად გამოკვეთილი, არის თუ არა თბილისის სასამართლო ექსპერტიზის სამსახური ერთადერთი კომპეტენტური პროფესიის საქართველოში. წამების სანინააღმდეგო კომიტეტის დაწმუნების მიუხედავდ, გარკვეული ბუნდოვანებაა აღტერნატური კერძო სამსახურებს არსებობასთან დაკავშირებით, რომელთაოფის მიმართვაც შეუძლიათ უშუალოდ პირებს ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს.

მომზადების დონესა და კომპეტენციას პატიმრის დაზიანების ხარისხის სათანადო ტერმინოლოგიით დაფიქსირებასთან დაკავშირებით, მაგრამ უფრო დიდი პრობლემა იყო ანალოგიური შთაბეჭდილება, რაც აშკარად იგრძნობოდა - სასამართლო ექსპერტიზის სამსახური მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა, უზრუნველეყო დასაბუთებული დასკვნა დაფიქსირებულ დაზიანებათა სავარაუდო მიზეზზე, თუნდაც იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც პატიმრებს გამოკვლევა უტარდებოდათ. რასაკვირველია, არ-სებობდა გარკვეული დაპირისპირება იმ მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ ეს აშკარად სამსახურებრივ პასუხისმგებლობას განეკუთვნებოდა. როგორც გვითხრეს, ასეთი მინიმალისტური მიდგომა ეფუძნებოდა საკანონმდებლო დებულებებს, რომლებიც არ ითვალისწინებდა დასკვნის დასაბუთებას, მაგრამ, იმის მიუხედავად, ამას ითვალისწინებდა თუ არა რეგულაციები,<sup>49</sup> აშკარად იყო პროფესიული დაინტერესების არარსებობა დაზიანების სავარაუდო მიზეზზის განსაზღვრასთან მიმართებით.<sup>50</sup> ასეთ შთაბეჭდილებას ამყარებდა სასამართლო ექსპერტიზის სამსახურის თანამშრომელთა პოზიცია, როდესაც ციხეებში არასათანადო მოპყრობა სრული მოცულობით გამოვლინდა.<sup>51</sup> ის გარემოება, რომ პროკურორები განიხილავდნენ გადაცემულ საქმეებზე არსებულ დასკვნებს მათ მომზადებაზე პასუხისმგებელ პირებთან ერთად, მეტყველებს იმაზე, რომ ყოველივე ეს არაფორმალურად ხორციელდებოდა.<sup>52</sup> გადაცემული

49. ეს ნაკლებად შესაძლებელია. Cf 2009 წლის სახელმძღვანელო მითითებები პროკურორებისათვის მინიმუმებს მეტი გამჭვირვალობის საჭიროებას გამოიერებისა და გადაცემების მიღების პროცესში. სახელმძღვანელო მითითებებს აგრეთვე ითვალისწინებს, რომ კვალიფიცირების ექიმის უნდა ჩაატაროს გამოიიყოს სამართლადამცველი ორგანოების თანამშრომელთა არყოფნისას. საბოლოო დასკვნა უნდა „ასახავდეს“ ახსნა-განმარტებას დაზარებულისათვის მიყენებული დაზიანებების შესახებ; ასეთი ახსნა-განმარტების არა-რსებობისას დაზარალებული გამოწვხადებულისაზე პროკურორის წნევაშე და ჩვენების ასლო გადაცემა ექიმის შემომების ჩატორებამდე. დაზარალებულს აგრეთვე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩატაროს დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, ხოლო დასკვნა უნდა ჩაიდოს საქმის მასალებში.
50. როგორც პიურის ერთმა თანამშრომელმა აღნიშნა, პატიმრებისათვის მიყენებული დაზიანების შესახებ 300 მიმართვიდან ავტომატურად ყველა არ იყო მათ კომპეტენციაში, ხოლო დაზიანების თაობაზე ინფორმირებული დასკვნის გაცემა „არ არის ჩვენი საქმე“.
51. დისკუსიებისას სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს თანამშრომელებმა აღნიშნეს, რომ არ იცავდნენ მონიტორინგის ჯერულის მიერ - როგორიცაა წამების სანინააღმდეგო კომიტეტი - გამოთქმული შეშფოთება ციხეში საგარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. წამების სანინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშების გავრცელება, როგორც ჩანს, შეზღუდულია.
52. Cf გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემთხვეველი მოპყრობის ან დასჯის ქმედითი გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო („სტამბოლის ოქმი“), პუნქტი 84: „ანგარიში კინზიდენციალური და გადაცემა სუბიექტს ან მის მიერ დასახელებულ წარმომადგენელს. სუბიექტის ან მისი წარმომადგენლის მოსაზრებები შემოწმების პროცესთან დაკავშირებით უნდა განიხილოს და ისახოს ანგარიშში. ანგარიში უნდა წარედგინოს წერილობით - როდესაც ეს შესაძლებელია - წამებისა ან არასათანადო მოპყრობის ბრალდების გამოიერაზე პასუხისმგებელ ორგანოს. ...“

საქმეების 10%-ზე ნაკლებს განიხილავდა სასამართლო ექსპერტიზა, რაც ნიშნავს, რომ უმრავლეს შემთხვევებში სასამართლო ექსპერტიზა ეფუძნება არაადეკვატურ პირველად დაფიქსირებას ციხის გარეთ. სასამართლო ექსპერტიზის სამსახურის იმ თანამშრომლებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ განხილვებში, აღნიშნეს, რომ „იცნობდნენ“ სტამბოლის ოქმს. ასეთ შემთხვევაში გაურკვეველია, რატომ არ იყო გასაგები ან მისაღები იმ ტერმინოლოგის მნიშვნელობა, რომელიც მიუთითებდა ბრალდებულთან დაზიანებათა მიზეზის შესაბამისობის ხარისხს. ამგვარად, პროკურატურასა და სასამართლოებს არ შეუძლიათ მოიპოვონ ექსპერტის დასკვნა იმის შესახებ, თუ მიყენებული ფიზიკური დაზიანება რამდენადაა გამოწვეული აღნერილობითი ტრაგეტი. დაზიანებები „არ შეესაბამება“, „შეესაბამება“, „მაღალი ალბათობით შეესაბამება“, „ტიპურია“ ან „დიაგნოსტიკებულია“ თუ არა, არსებითი მნიშვნელობისაა არასათანადო მოპყრობის ეფექტინად გამოძიებისათვის.<sup>53</sup> როგორც ჩანს, სასამართლო ექსპერტიზისადმი მიმართვის მთლიან სისტემაში ფუნდამენტური ხარვეზები შენიშნება.

27. მეოთხე, კვლავაც ნაკლებად შეინიშნება გამოძიებაში იმ პირის ეფექტიანი მონაწილეობა, რომელიც ამტკიცებს არასათანადო მოპყრობას. საქართველოში არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი სამართალწარმოებაში ერთვება შიდასახელმწიფო ორგანიზაციის კანონმდებლობით დანაშაულის „მსხვერპლად“ აღიარების შემდეგ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირს, რომელსაც არ აქვს ასეთი სტატუსი, არ ეკისრება არანაირი როლი სამართალწარმოებაში და, შესაბამისად, არ შეუძლია სასამართლოს წინაშე გაასაჩივროს უარი გამოძიების დაწყებასა ან შეწყვეტაზე<sup>54</sup>. მართალია, 2009 წლის სახელმძღვანელო წესები პროკურორებისათვის კონკრეტულად მოითხოვს მოწმებისა და სავარაუდო მსხვერპლის დაკითხვას, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი გამოძიებაში აქტიური ჩართულობა ან მონაწილეობა. არ არსებობს სამართლებრივი დაცვის საკმარისი მექანიზმები, რომლითაც დაუშვებელი იქნებო-

53. სტამბოლის ოქმი, პუნქტი 83 (b): დასკვნა უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: „ზოგადი მიმოხილვა. დაკითხვის დროს პირის მონათხრობის დეტალური ჩანაწერი, მათ შორის, ნამების ან არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მეთოდები, ნამების ან არასათანადო მოპყრობის დრო და ყველა საჩივარი ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სიმპტომებთან დაკავშირებით; (g) ფიზიკური და ფსიქოლოგიური გამოვლევა. დასკვნების ჩანაწერი კლინიკური შემოწმებისას საერთო ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, შესაბამისი სადიაგნოსტიკო ტესტები და, შეძლებისდაგვარად, ყველა დაზიანების ფერადი ფოტოსურათი; (d) დასკვნა. სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, სავარაუდო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ურთიერთებაგმირის ინტერპრეტაცია. ...“

54. იბ. საქმე Gharibashvili v Georgia (29 ივლისი, 2008) (განმცხადებელი არ დაუკითხავთ არასათანადო მოპყრობის ბრალდებულთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიებისას, როდესაც სასამართლომ დახურულ სხდომაზე (*in camera*) მიიღო გადაწყვეტილება სამართლწარმოების შეწყვეტის თაობაზე, ზეპირი მოსმენის გარეშე).

და პროკურორის მიერ საქმის ზედაპირული განხილვა და მარტივად დასკვნის გამოტანა, რომ არასათანადო მოპყრობა არ დადგინდა. დაინტერესებულ პირს არ შეუძლია საჯარო მოხელეთა მიერ წარმოდგენილი შესაგებლისა და სხვა მტკიცებულების გასაჩივრება. მართალია, ევროპული სტანდარტები არ მოითხოვს შეჯიბრებით პროცესს, მაგრამ ითვალისწინებს მოსარჩელის ჩართულობას ბრალდებების შესამონმებლად პრეტენზიებზე პასუხის გაცემის მეშვეობით.<sup>55</sup> გარკვეულწილად აღიარებული იქნა, რომ ეს სისტემაში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზია და გამოითქვა მოსაზრება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები შევიდეს ამ არსებითი ხარვეზის გამოსასწორებლად.<sup>56</sup>

28. მოსამართლებს შესაძლოა მოეთხოვებოდეთ ინიციატივის აღება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიების უზრუნველსაყოფად, როდესაც არსებობს ნიშნები, რომლებიც მიუთითებს ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობაზე. ეს, სავარაუდოდ, შეიძლება მოხდეს სასამართლო განხილვაზე, როდესაც ბრალდებული საჩივრით მიმართავს არასათანადო მოპყრობაზე წინასწარი პატიმრობისას,<sup>57</sup> რაც, ამავდროულად, უნდა გავრცელდეს იმ მოთხოვნაზე, რომ მიღებული იქნეს ზომები პირის მხრიდან კონკრეტული საჩივრის არარსებობის შემთხვევაშიც კი (მაგალითად, როდესაც პირს სასამართლოში გამოცხადებისას აღენიშნება და ზინანებები). თუმცა, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მოსამართლეთა პროფესიულ მომზადებაზე პასუხისმგებელ პირებთან შეხვედრების დროს გამოითქმული მოსაზრების თანახმად, კვლავ არსებობდა გადასაჭრელი საკითხები მოსამართლეთა დასარწ-

55. Cf ზემოხსენებული *Gharibashvili v Georgia*, პენქტი 74: „სასამართლო აგრეთვე დაადგნა, რომ გადაწყვეტილება ზემოხსენებული გამოძიების შეწყვეტის შესახებ სასამართლომ მიიღო დახურულ სხდომაზე (*in camera*), ზეპირ მოსმენის გარეშე. არც საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ამის ნაცვლად წერილობით წარიმართა გამჭვირვადე და შეჯიბრებითი პროცესი. ... ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო და შეჯიბრებითი სასამართლო განხილვა - იმ შემთხვევაშიც კი, თუ განხილველი სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ჩაატაროს დამოუკიდებელი გამოძიება ან დაადგინოს ფაქტები - შესაძლოა წარმოადგენდეს ფორმუმს, რომელიც უზრუნველყოფს ჯეროვან სასამართლო პროცესს არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ დავებზე, რომლებზეც მსარები არიან განტცხადებელი და პროკურორი. ...“

56. აგრეთვე აღინიშნა, რომ შეიძლებოდა რეფორმის დაჩქარება დანაშაულის მსხვერპლის უფლებების, დახმარებისა და დაცვის მინიმალური სტანდარტების შესახებ ევროკავშირის დირექტივის საფუძველზე, COM(2011) 275, ძალაშია (18.5.2011).

57. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 197(g) - საჩივრები არასათანადო მოპყრობასა და პროცესუალურ ხარვეზებთან დაკავშირებით. მოსამართლებმა გარკვევით განცხადეს, რომ მათი აზრით, არასათანადო მოპყრობა მოტივირებული იყო მხოლოდ შეიდან უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოსაზრებებით: მათ უარყვეს სხვების მიერ გამოითქმული მოსაზრება, რომ არასათანადო მოპყრობა შესაძლოა გამხდარიყო იარაღი საპროცესო შეთანხმების მისაღწევად, რათა დაეთანხმებინათ პირი, ეღიარებინა დანაშაული პირობით ვადამდე გათავისუფლების სანაცვლოდ და დაკისრებოდა დიდი ოდენობით ჯარიმა.

მუნებლად, რომ მათ აქტიური როლი ეკისრებათ ასეთ შემთხვევებში. კონკრეტულად, მათ დადგენილებით უნდა მოითხოვონ სრულყოფილი გამოძიების ჩატარება, როდესაც არსებობს პატიმრის მიმართ არასა-თანადო მოპყრობის რაიმე ნიშანი. როგორც გვითხრეს, ის საყოველ-თაოდ აღიარებული მიდგომა, რომ მოსამართლე პირის უფლებების დამცველია, თანდათანობით იცვლება, თუმცა მოსამართლეები კვლავ ერთგულებას იჩენდნენ იმ სისტემის მიმართ, რომელიც მნიშვნელობას ანიჭებდა ფორმას და ყურადღებას აქცევდა ასოებს და არა კანონის სულისკვეთებას. ერთ-ერთი მოსამართლის თქმით, საქმის განმხილველი მოსამართლე შესაბამის ზომებს იღებდა იმ შემთხვევებში, როდესაც პა-ტიმარს ჩილული სილურჯები აღნიშნებოდა გამოცხადებისას (უსვამდა შეკითხვებს, ფაქტებს ასახავდა ოქში და პროკურორს მიუთითებდა, რა ზომები უნდა მიეღო). ეს კომენტარი არ იყო ზედმიწევნით დამაჯერებე-ლი შესაბამისი პრაქტიკული მაგალითების არარსებობის გამო. აშკარაა, რომ თვითონ მოსამართლეებს განსხვავებულად ესმოდათ, ასეთი მოქ-მედება სავალდებულო იყო თუ დისკრეციული. თუ მხოლოდ დისკრე-ციული იყო, არსებობდა თუ არა კონკრეტული საჭიროება დამატებითი საკანონმდებლო დებულებებისა, რომლებიც მოსამართლეებისათვის სავალდებულოს გახდიდა კონკრეტული ზომების მიღებას (ან შესაძლე-ბელი იყო თუ არა ამის მიღწევა მხოლოდ მოსამართლეთა სათანადო ტრენინგის მეშვეობით).

### **3. არასათანადო მოპყრობის პრალდებების ან ნიშნებ-ის ეფექტისად მართვის ყოვლისმომცველი სისტემის შემუშავება - კომენტარი და რეკომენდაციები**

29. როგორც ზემოთ აღნიშნა, ნებისმიერი შიდასახელმწიფოებრივი ჩარჩო უნდა აკმაყოფილებდეს იმ ძირითად კრიტიკულებებს, როგორიცაა:

- ეფექტიანობა (დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; ადეკვატურობა; დროულობა; მსხვერპლის საკმარისი ჩართულობა; და ლიაობა საზოგადოებრივი კონტროლის მეშვეობით);
- საკმარისი უწყებათაშორისი კოორდინაცია;
- კონტროლი (სამართალნარმოების შენწყვეტის, შეჩერების ან დევნაზე უარის თქმის შემთხვევებში ვალდებულება ეხება ასეთი გადაწყვეტილებების კანონიერების განხილვას სასამართლოს მიერ ან, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს წინაშე სამართალნარმოების დაჩქარების შესაძლებლობას სისხლის სამართლებრივი სარჩელის მეშვეობით);
- მოტივირებულობა, რაც განპირობებულია გადაწყვეტილებით არასა-თანადო მოპყრობის აღმოფხვრის თაობაზე.

**a. დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა; ადეკვატურობა; დროულობა; მსხვერპლის საკმარისი ჩართულობა; და ლიაობა საზოგადოებრივი კონტროლის მეშვეობით)**

30. აღნიშნული ხუთი კრიტერუმი არსებითი მოთხოვნებია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის „პროცედურულ ასპექტთან“ შესაბამისობისთვის. არ არსებობს რაიმე სტანდარტული მოდელი: თითოეული სამართლებრივი სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები დაკმაყოფილებული იყოს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც წამოიქრება გამოკვლევის ვალდებულება. ზემოხსენებულ შეხვედრებზე ხაზგასმით აღინიშნა ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენს გამოძიების სისტემაზე საქართველოში. შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის ცენტრალური რგოლი საქართველოში პროკურორია. ქვეყანაში სამართლებრივი დევნის სისტემა სავალდებულოდ ითვლება, რაც იმას ნიშნავს, რომ პროკურორი გამოძიება უნდა დაიწყოს შესაბამისი მტკიცებულების არსებობისას. თუმცა, საქართველოში პროკურორი მნიშვნელოვანი დისკრეციით სარგებლობს თავისი სამსახურებრივი პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრისას. საჩივრით მიმართვაზე, მის განხილვაზე, მტკიცებულების ძალის შეფასებასა და დევნის დაწყებაზე გადაწყვეტილების, დევნის საფუძვლის განსაზღვრის სისტემის მთლიანი ორიენტირი ერთი სამსახურის ხელშია. აღნიშნულ მოდელს აქვს იმის პოტენციალი, რომ ევროპული მოლოდინები არსებითად დააკმაყოფილოს, თუმცა, თითქმის შეუზღუდული ძალაუფლება, განსაზღვროს გამოძიების კურსი, მოიცავს არასაკმარისი შემოწმებისა და დაბალანსების მექანიზმებს. კერძოდ, მნიშვნელოვნად შეზღუდულია ანგარიშვალდებულება. ფაქტობრივად, რთულია გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება. ჩვენი დისკუსიებიდან გამომდინარე, ძნელია თავი აარიდო დასკვნას, რომ არსებული მოსაზრების თანახმად, პროკურორები სათანადო ობიექტურობითა და სიმებაცრით აქტიურად არ მონანილებდნენ ციხეებში არასათანადო მოპყრობის ბრალდებათა გამოძიების პროცესში, რაც აუცილებელი წინაპირობაა ევროპული კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად.

31. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ არსებული მექანიზმები განაპირობებდეს საზოგადოებრივ ნდობას იმ სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ, რომელსაც ეკისრება არასათანადო მოპყრობაზე ბრალდების ეფექტიანი გამოძიება. სერიოზულ განხილვას საჭიროებს დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს ან, ალტერნატივის სახით, დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა, რომელსაც ექნება პროკურორის მიერ განხილულ თითოეულ საქმეზე ზედამხედველობის უფლებამოსილება. თუ მიღებული იქნება გადაწყვეტილება, რომ არ არის საჭირო

დამოუკიდებელი ერთეულის შექმნა, უნდა არსებობდებს, სულ მცირე, პროკურატურას დაქვემდებარებული გამოძიების ცალკე განყოფილება, რომელსაც კონკრეტულად დაეკისრება სახელმწიფო მოხელეების მხრიდან არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიების ვალდებულება. ამ განყოფილებას უნდა ჰქონდეს ოპერატორული დამოუკიდებლობა და მიეცეს მკაფიო მითითებები იმ მეთოდებთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენებაც მოეთხოვება ასეთი გამოძიების ზედამხედველობისას, ჰქონდეს შესაბამისი რესურსები, თანამშრომლებს კი - მოტივაცია, რომ ასეთ სამსახურში მუშაობა პროფესიული მიღწევაა. ეს განყოფილება ზედმინევნით უნდა ასრულებდეს დაკისრებულ ფუნქციებს საჯარო მოხელეთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიებასთან დაკავშირებით ან მკაცრად და ეფექტურად ზედამხედველობდეს სხვა საგამოძიებო ორგანოების მიერ ჩატარებულ გამოძიებას.

32. დისკუსიებისას განხილული იქნა საკითხი, თუ რომელი იყო ყველაზე ადეკვატური უწყება, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, პროკურორს დაეხმარებოდა გამოძიების ჩატარებაში. ზოგიერთი მოსაზრების თანაბეჭდ, გარკვეულ შემთხვევებში შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლებს პროკურორები მისცემენ კონკრეტულ ინსტრუქციებს იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ციხეებში სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ბრალდებებს. ეს უდავოდ აამაღლებს გამოძიების ეფექტიანობას. ამასთანავე, შესაძლებელია სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გარკვეულ შიდა სტრუქტურულ ერთეულებს დაეკისროთ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა, რომ საწყის ეტაპზე დახმარება გაუწიონ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ნიშნების იდენტიფიცირებასა და მტკიცებულების უზრუნველყოფაში. ეს საკითხი უფრო დეტალურად ქვემოთ განხილებას.

33. რაც შეეხება გამოძიების დროულობისა და ადეკვატურობის საკითხს, არსებობს მოლოდინი, რომ გადაიდგმება ყველა გონივრული ნაბიჯი შესაბამის მტკიცებულებათა მოსაპოვებლად, მონშეთა გამოსაძახებლად და სათანადოდ დასაკითხად, ნივთიერი მტკიცებულების ამოსალებლად და შესაფასებლად. სულ მცირე, ხელისუფლებამ „ყოველთვის სერიოზულ ძალისხმევას უნდა მიმართოს იმის გასარკვევად, თუ რა მოხდა“ - მაგალითად, „ყველა ხელმისაწვდომი გონივრული ღონისძიების მეშვეობით - რათა მოიპოვოს ინციდენტთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება, მათ შორის, *inter alia*, თვითმხილველი მოწმის ჩვენება, სასამართლო ექცერტიზა“და სხვა.<sup>59</sup> რამდენადაც მტკიცებულება შეი-

58. პუნქტები 38-43.

59. საქმე Khadisov and Tsechoyev Russia (5 თებერვალი 2009, პუნქტი. 114. მაგალითისათვის იხ. Barabanshchikov Russia (8 იანვარი 2009), პუნქტი 44. „სასამართლო აღნიშნავს, ხოლო მთავრობა არ აპროტესტებს, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა არ მიიღეს არანაირი ზომები იმ პირების მიმართ, რომლებიც, სავარაუდოდ, თავს დაესხნენ გან-

ძლება ადვილად დაზიანდეს, გადაუდებელი მოქმედებაა საჭირო. გადაუდებელი მოქმედება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ხელს უწყობს არასათანადო მოპყრობის დაუსჯელობაზე რეაგირებას; ამავდროულად, დაეხმარება საჩივრის სისტემისადმი ნდობის შენარჩუნებას პატიმრებისა და, ზოგადად, საზოგადოების მხრიდან. თუმცა, როგორც ჩანს, არსებობს ხარვეზები ისეთ მტკიცებულებათა დროულად მოპოვების თვალსაზრისით, რომლებიც ღირებული იქნება გამოძიების შემდგომი ეტაპებისთვის. როგორც ირკვევა, ჩვეულებრივი ამბავია ზეაპირული გამოძიება ყველაზე ობიექტურ მტკიცებულებათა არსებობისას, როგორიცაა, სხეულის დაზიანება. პირველ რიგში, როგორც ზემოთ აღინიშნა, არც ციხის სამედიცინო პერსონალი - დათვალიერების საწყის ეტაპზე - და შემდგომ არც სასამართლო სამედიცინო ექსპერტები არ აფიქსირებენ და პროფესიულად არ აფასებენ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ნიშნებს ტრავმული დაზიანებების ფორმით. არსებობდა საყოველთაო შეთანხმება, რომ სასწრაფო ყურადღებას მოითხოვს ციხის სამედიცინო პერსონალის პროფესიული მომზადება იმისათვის, რომ სათანადოდ, ზუსტად და სრულყოფილად დაფიქსირდეს დაზიანებები და მათთან დაკავშირებით წარმოდგენილი ნებისმიერი ახსნა-განმარტება. მეორე, დაზიანებების პირველადი დაფიქსირების დაბალი სტანდარტების პრობლემა, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს არასათანადო მოპყრობით, შესაბამისად უკავშირდება სასამართლო ექსპერტიზის სამსახურების მხრიდან ინტერვენციის არადამაკმაყოფილებელ დონეს. შესაძლოა მნიშვნელოვნად გაჭიანურდეს დრო დაზიანებების მიყენებასა და სასამართლო ექსპერტიზის სამსახურების ინტერვენციებს შორის. როგორც ჩანს, არავითარი მცდელობა არ ყოფილა სტამბოლის ოქმის მოთხოვნების შესასრულებლად, რომლებიც გულისხმობს დასაბუთებული დასკვნის უზრუნველყოფას ტრავმების შესაბამისობაზე, სათანადო ახსნა-განმარტებებითურთ. სასამართლო ექსპერტიზის შედეგები არ ეცნობება პატიმარს. შედეგად, მივიღეთ სიტუაცია, რომელიც მინიმალურ დახმარებას უწევს პროკურორს (ან მოსამართლეს) შეფასებისას, თუ რამდენად შეესაბამება დაზიანებას სამედიცინო დასკვნა.

34. არსებობს ამ სიტუაციის გამოსწორების შესაძლებლობა. პირველ რიგში, სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა და მულტიდისციპლინურმა ჯგუფმა სამედიცინო საკითხებზე, შესაძლებელია, მონაწილოება მიიღონ ტრავმის პირველად დაფიქსირებაში, კერძოდ, თუ არსებობს მიზანი სწრაფი რეაგირებისა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ საჩივრებსა ან ნიშნებზე. მეორე, ციხის სამედიცინო პერსონალისა და სასამართლო ექსპერტიზის სამსახურის თანამშრომელთა ტრენინგმა

---

მცხადებელს, და რომ მათ მიმართ არასოდეს ჩატარებულა რაიმე სახის გამოძიება და ისინი არ დაუკითხავთ სავარაუდო თავდასმასთან დაკავშირებით.“

უნდა განაპირობოს, რომ [დაზიანებები] დაფიქსირდეს სტამბოლის ოქმის შესაბამისად. ამ ოქმის თანახმად, შესაძლოა სპეციალური ზომები იყოს საჭირო დაკითხვის ტექნიკის კუთხით, როდესაც განიხილება არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლის მოწყვლადობის საკითხი მისი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის მხრივ.<sup>60</sup> მესამე, საქართველოში სასამართლო ექსპერტიზის სამსახურის თანამშრომლებისათვის საჭირო იქნება მნიშვნელოვანი ცვლილებები სამუშაო პრაქტიკაში, გაზრდილი პასუხისმგებლობა ექსპერტიზაზე დაფუძნებულ, დასაბუთებული დასკვნების უზრუნველყოფის თვალსაზრისით და მიღებობების ცვლილება. საჭიროების შემთხვევაში (როგორც გვითხრეს, საქართველოს კანონმდებლობა დასჯად ქმედებად აცხადებს (ცრუ ჩვენების მიცემას), საკანონმდებლო ცვლილებით უნდა დაზუსტდეს, რომ „ცრუ ჩვენება“ არ მოქმედებს (ისევე, როგორც ევროპის სხვა ნებისმიერ ქვეყანაში) მოწმე ექსპერტების ჩვენებასთან მიმართებით, რომლებიც გამოძახებული არიან დასაბუთებული დასკვნის წარსადგენად, რაც ეფუძნება აღიარებულ პროფესიულ კომპეტენციას, თუ ასეთ ჩვენებას აძლევენ კეთილსინდისიერად.

35. პრობლემა სავარაუდო მსხვერპლის ადეკვატური მონაბილეობა არასათანადო მოპყრობის ბრალდებათა ან ნიშანთა გამოძიების პროცესში. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს პროკურორები გადაულახავ ბარიერად მიიჩინევენ სავარაუდო მსხვერპლისა და მისი ხელმყოფის დაპირისპირების საშუალების გათვალისწინების მხრივ, რადგან სავარაუდო მსხვერპლს, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიხედვით, არ ეძლევა „მსხვერპლის“ სტატუსი პირველადი გამოძიების დაწყებამდე. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ბოლოდროონდელი ცვლილებები აშკარად არ ცვლის ამ სიტუაციას, რაც იძლევა „მსხვერპლის“ ვიზრო და ფირმალურ იარღიყს მხოლოდ იმისათვის, რომ საგამოძიებო სამართალწარმოების ძალიან გვიანდელ ეტაპზე პრაქტიკული დანიშნულება მიეცეს. ეს არაჯეროვნად ზღუდავს პროკურორის შესაძლებლობას, ხელახლა განიხილოს ურთიერთსანინაალმდეგო მოსაზრებები, რომლებიც შესაძლოა ზეპირი ჩვენებისას გაჩნდეს.<sup>61</sup> შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა და პრაქტიკა ხელს უნდა უწყობდეს გამოძიებას და არ უქმნიდეს დაბრკოლებებს. საჭიროა პროცესის გადაუდებელი რეფორმირება, რათა დაშვებული იყოს სავარაუდო მსხვერპლის მეტი

60. სტამბოლის ოქმი, პუნქტები 120-160.

61. Cf შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაცია, 2009 წლის ნოემბერი, 2009: „რაც შეეხება ჯვარედინ დაკითხვას, საქართველოს მიქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს აღნიშნულ სამართლებრივ ინსტიტუტს. თუმცა, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც უკვე მიიღო პარლამენტმა საშემოდგომო სესიაზე, ჯვარედინი დაკითხვის ინსტიტუტს ითვალისწინებს სხვა სისხლებთან ერთად სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის კუთხით.“ ამგვარად, მოწმეთა დაკითხვა (პრდაპირი და ჯვარედინი) შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს წინაშე სამართალწარმოებისას.

მონაწილეობა საგამოძიებო სამართალწარმოების ეტაპებზე.

36. **სწრაფი გამოძიება მჭიდროდ უკავშირდება მოთხოვნას გამოძიების ადეკ-ვატურობის შესახებ.** შესაძლოა, მოწმებს დაავიწყდეთ მოვლენები, ისინი შესაძლოა სხვა დაწესებულებაში გადაიყენონ ან გაათავისუფლონ; ტრავმის გარეგანი ნიშნები აღარ არსებობდეს. 2009 წლის სახელმძღვანელო მითითებები მკაფიოდ ითვალისწინებს, რომ პროკურორებმა და გამომძიებლებმა გამოძიება უნდა დაიწყონ წამებასა ან არასათანადო მოპყრობაზე ინფორმაციის მიღებისთანავე, და რომ გამოძიება უნდა დამთავრდეს გონივრულ ვადაში. „გონივრულ ვადად“ დადგენილია ორთვიანი პერიოდი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მცირებიანი გადავადება საჭიროა გამოძიების დასასრულებლად). სახელმძღვანელო მითითებები ჯერ კიდევ კონფიდენციალურია. საზოგადოების ინტერესი, რომ აღნიშნული დოკუმენტი საჯარო გახდეს, გადაწყვიტოს მართლმსაჯულების აღსრულებისა თუ ადმინისტრაციული მოხერხებულობის ნებისმიერ ინტერესს, რომელიც ითვალისწინებს კონფიდენციალობის შენარჩუნებას: გასაჯაროება ხელს შეუწყობს, სულ მცირე, ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. გასაჯაროება უნდა მოხდეს ყოველგვარი დაყოვნების გარეშე.

37. **არსებობს მოლოდინი, რომ უნდა იყოს საკმარისი საზოგადოებრივი კონტროლი გამოძიებასა ან მის შედეგებზე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით თეორიასა და პრაქტიკაში. წინამდებარე კვლევა კონკრეტულად არ ეხება აღნიშნულ საკითხს, განსახილველი საქმეების სენსიტიურობიდან გამომდინარე.**

#### **б. საკმარისი უწყებათაშორისი კოორდინაცია**

38. **საქართველოში 2012 წლის სექტემბრიდან ხორციელდება მთელი რიგი ახალი ინიციატივები. კერძოდ, აშკარად შეინიშნება მონიტორინგთან დაკავშირებული ინიციატივები: სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში ჩამოყალიბდა შიდა მონიტორინგის რამდენიმე მექანიზმი. გატარებული ღონისძიებები მისასალმებელია, რამდენადაც ისინი მინისტრებსა და მაღალი თანამდებობის პირებს ადრეულ სტადიაზევე ატყობინებენ არასათანადო მოპყრობის ნიშნებზე და, შესაბამისად, აძლევენ სწრაფი მოქმედების საშუალებას. უფრო ზუსტად, ეს მექანიზმები შესაძლებელს გახდის, პროკურატურას გადაეცეს გამოსაძიებლად ინფორმაცია სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ნიშნებზე და დაეხმარება მას მტკიცებულების უზრუნველყოფაში, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს შემდგომი გამოძიებისათვის. ამავდროულად, აღნიშნული ღონისძიებები განაპირობებს, რომ საჭიროა კოორდინაციისა და კომუნიკაციის დამატებითი მექანიზმებისა და მათი განგრძობადი ეფექტიანობის უზრუნველყოფის მხარდაჭერა.**

39. პირველ რიგში, სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა გენერალური ინსპექციის დეპარტამენტში მნიშვნელოვანი რეფორმა გატარდა. როგორც ზემოთ ითქვა, დეპარტამენტს შეზღუდული უფლებამოსილება ჰქონდა, რაც ციხეებში ვიზიტს გამორიცხავდა. დეპარტამენტი მნიშვნელოვნად რეორგანიზებულია და ახალი კადრები დაემატა. მისი ძირითადი ფუნქციაა თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური წარმოება. დისციპლინური საქმის წარმოება ეხმარება დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლაში არასათანადო მოპყრობაზე რეაგირების დამატებითი და მნიშვნელოვანი ფორმების უზრუნველყოფის მეშვეობით. ევროპული მოლოდინების თანახმად, დისციპლინურ გადაცდომაში ბრალეულობა სისტემტურად უნდა მოწმდებოდეს, თუნდაც დადგინდეს, რომ მართლსანინააღმდეგო ქმედება სისხლის სამართლის დანაშაულია. აღსანიშნავია, რომ ამაში იგულისხმება მისი განხორციელების შესაძლებლობა სისხლის სამართლნარმოების პარალელურად. თუ დადგინდება, რომ გასაჩივრებული ქმედება სისხლის სამართლებრივია, საქმე უნდა გადაეცეს ბრალმდებელ ორგანოებს. არსებობს მტკიცე მსარდაჭერა დისციპლინურ საკითხებთან დაკავშირებით „მთლიანად დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს“ შექმნაზე, რომელსაც ენება უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება დისციპლინური სამართლწარმოების დაწყებაზე.<sup>62</sup>
40. დეპარტამენტს აქვს საჩივრების განხილვის უფლებამოსილება, ხოლო გამოძიების დამთავრების შემდეგ შეუძლია საქმე გადასცეს მინისტრს სანქციის განსაზღვრისათვის. თუ არსებობს მინიშნება, რომ საქმე შეიცვეს სისხლის სამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს, საკითხი უნდა გადაეცეს პროკურატურას.<sup>63</sup> სავარაუდოდ, დეპარტამენტი მნიშვნელოვან წევლის შეიტანს ნებისმიერი გამოძიების დროულად და ეფექტურად ნარმართვაში, თავისი პროაქტიული როლის მეშვეობით ინსპექტირებისას (ციხეებში ყოველდღიური ვიზიტები) და რეაქტიული როლის მეშვეობით საჩივრების განხილვისას, მათ შორის, საჩივრის საწყის სტადიაზე, რაც შესაძლოა მოითხოვდეს საქმის გადაცემას პროკურორისათვის. მართალია, ეს რეფორმები ამ ანგარიშთან დაკავშირებულ კვლევამდე მხოლოდ რამდენიმე თვით ადრე დაიწყო, ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ამ დეპარტამენტს აქვს პოტენციალი, მნიშვნელოვანი როლი შესარულოს არასათანადო მოპყრობის ეფექტიანად გამოძიების სფეროში. პირველადი შედეგები სამუშაოს მოცულობის გაზრდის მხრივ დამაიმედებელია.<sup>64</sup>

62. მე-14 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2004) 28, პუნქტი 37-38.

63. ამჟამიდნელი უფროსი ყოფილი პროკურორი და გამომძიებელია. დეპარტამენტში, დაახლოებით, 24 თანამშრომელია, რომელთაგან 10 შეიდა ინსპექციის სამმართველოში შემაბეჭდის, ხოლო 7 - ადამიანის უფლებათა სამმართველოში (დანარჩენები - საფინანსო სამმართველოში).

64. როგორც გვითხრეს, ჩვენს ვიზიტამდე 3 თვით ადრე, დაახლოებით, 440 საჩივრია მიღებული, რომელთაგან თითქმის ყველა ეხებოდა პერიოდს 2012 წლის სექტემბრი.

თუმცა, 2012 წლის შემოდგომის მოვლენების შემდეგ დეპარტამენტი დას მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე. საჩივრების გაზრდილი რაოდენობიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მან მიაღწია ნდობის მნიშვნელოვან დონეს, მაგრამ ამ ნდობის გრძელვადიან პერსპექტივაში შესანარჩუნებლად საჭიროა არა მხოლოდ სათანადო რესურსები, რომლებიც მას თავისი უფლებამოსილების განხორციელების საშუალებას მისცემს, არამედ ისიც, რომ გამოძიების შედეგები იყოს ხელშესახები. ეს გულისხმობს როგორც გარკვეულ შემთხვევებში დისციპლინური ზომების შეფარდებას თანამშრომლებისათვის, ასევე საქმის გადაცემას პროექტორისათვის და შემდგომ რეაგირებას წინასწარი გამოძიების შედეგებთან დაკავშირებით.

41. დეპარტამენტი სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს ნაწილია. შესაბამისად, იგი არ არის დამოუკიდებელი. ეს მკაფიოდ აღინიშნა განხილვებისას. თუმცა, აშკარად ჩანდა მისი ამჟამინდელი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება მისთვის დაკისრებული როლის შესრულებასთან დაკავშირებით. საკვანძო საკითხი იქნება ის, რომ დეპარტამენტმა მომდევნო წლებში შეინარჩუნოს აღნიშნული მისია, რაც შესაძლოა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის ხედვაზე. ამჟამინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა საქართველოში აქტიურად უქმერს მხარს ციხის სისტემაში სასტიკი მოპყორიბის აღმოფხვრას. ეს კი შესაძლოა საუკეთესო დრო იყოს იმისათვის, რომ გარკვეული გარანტიები შემუშავდეს მომავალში დისციპლინური გამოძიების სისტემის დამოუკიდებლობისა და მთლიანობის დაცვის ხელშესაწყობად, კერძოდ, იმ თვალსაზრისით, რომ მისი ძირითადი როლი გამოძიების საწყის ეტაპზე მტკიცებულების უზრუნველყოფაში დახმარების მხრივ შესაძლოა, ფაქტობრივად, სასარგებლო იყოს პროექტორისათვის ნებისმიერ საქმეზე, რომელიც შემდგომში გადაცემა სავარაუდო სისხლის სამართალდარღვევის შესაფასებლად.

42. მეორე, სასჯელადსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახური ახლახან შეიქმნა. სამსახურში 11 მუდმივი თანამშრომელია. თითოეულს აქვს გამოცდილება სამართლებრივი ან სამედიცინო კუთხით. ამავდროულად, დამატებით შესაძლებელია გარედან მოწვეული ექსპერტების დახმარება. სამსახურის ამოცანა, უპირატესად, პრევენციულია. ამ მიზნით იგი ყოველდღიურად ახორციელებს ვიზიტებს ციხეში. ის ანგარიშს წარადგენს სამინისტროს წინაშე ნებისმიერ საკითხზე, რომელიც გარკვევას საჭიროებს. ასევე შეუძლია პრეტენზიების გადაცემა (მის წინაშე წარდგენილი საჩივრის ფორმით ან არასათანადო მოპყორიბის ნიშნებთან

ბრამდე. 88 საქმე გადაეცვანა პროექტურას, 10 ეხებოდა სამსახურიდან ნებაყოფლობით გათავისუფლებას, 29 - გათავისუფლებას, 5 - საყვედურს, ხოლო 13 - სხვა დისციპლინურ სანქციებს.

დაკავშირებით). ჯერჯერობით ადრეა იმ ფარგლების შეფასება, თუ რამ-დენად შეიტანს ეს სამსახური ეფექტიან წვლილს არასათანადო მოპყრობის აღკვეთასა და გამოძიებაში. როგორც გვითხრეს, მან ციხეებში ნდობა მოიპოვა პატიმრების მხრიდან. ამასთანავე, არსებობდა აშკარა ნება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული განყოფილება იყოს ეფექტიანი.

43. ბევრი რამ მომავალში შესაძლოა დამოკიდებული იყოს იმ ფარგლებზე, თუ როგორ უნდა ხდებოდეს ინფორმაციისა და პრობლემების გაზიარება სხვა უწყებებთან, კერძოდ, სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან. თუმცა, მონიტორინგის სამსახურსა და გენერალური ინსპექციის დეპარტამენტს შორის შორის ურთიერთობა კვლავ საჭიროებს ზუსტ განსაზღვრას. როგორც გვითხრეს, მათი ფუნქციები, გარკვეულწილად, კვეთს ერთმანეთს. განმარტება იმის შესახებ, რომ ამ ორ დეპარტამენტს სხვადასხვა ფუნქცია ეკისრება - ერთ შემთხვევაში, პატიმართა მოპყრობა (მათ შორის, პატიმრობის პირობები), ხოლო მეორეში - ადამიანის უფლებების დაცვა - არ იყო სრულად დამაჯერებელი. არსებობს რისკი, რომ დროთა განმავლობაში ასეთმა „გადაკვეთამ“ შესაძლოა განაპირობოს კონფლიქტი ან გაუგებრობა. არც ის იყო ბოლომდე გასაგები, მონიტორინგის სამსახური ზოგად ან პოლიტიკურ საკითხებზე უფრო უნდა იყოს ორიენტირებული თუ ინდივიდუალური საქმეების განხილვაზე. თუ ვივარაუდებთ, რომ შესაძლებელია მისი მანდატისა და გენერალურ ინსპექციასთან ურთიერთობის დაზუსტება, მონიტორინგის სამმართველოს აქვს პოტენციალი, წვლილი შეიტანოს არასათანადო მოპყრობის პრევენციაში იმ კუთხით, რომ შეასრულოს სამინისტროს ადრეულ სტადიაზე გაფრთხილების სისტემის ფუნქცია. ამასთანავე, სამინისტროს იდენტიფიცირებული აქვს მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელთა ადეკვატური მომზადების საჭიროება. ეს შესაძლოა მნიშვნელოვანი სფერო იყოს ისეთ ორგანოებთან თანამშრომლობისათვის, როგორიცაა ევროპის საბჭო.

#### ც. კონტროლი და ანგარიშვალდებულება

44. პატიმართა საჩივრების წარდგენა ყურადღებას მოითხოვს. უნდა გვახსოვდეს, რომ საჩივრით მიმართვისას პატიმრები მოწყვლად მდგომარეობაში აყენებენ საკუთარ თავს. საჭიროა გადაუდებელი ზომების მიღება იმისათვის, რომ პატიმრებს სრულიად დაუბრკოლებლად შეეძლოთ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული პრეტენზიების კომუნიკაცია, ფორმალური დასჯის შიშის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცალსახად დადგინდება, რომ საჩივრის უფლება გამოყენებულია არაკეთილსინდისიერად. საწერი საშუალებები ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს და არ საჭიროებდეს სპეციალურ მოთხოვნას. საჩივრის გასაგზავნ კონვერტზე იოლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ციხის სხვადასხვა წერტილში და არ საჭიროებდეს სპეციალურ

მოთხოვნას.<sup>65</sup> სამინისტროს „ცხელი ხაზი“ (სატელეფონო საშუალება) უნდა გამოიკრას მთელ ციხეში და მისაწვდომი იყოს პატიმრებისათვის კონფიდენციალური კომუნიკაციის საფუძველზე. სანქციის შეფარდების მუქარა ან მისი შეფარდება მონიტორინგის ორგანოებთან კომუნიკაციის გამო უნდა ითვლებოდეს კონკრეტულ დისკიპლინურ სამართალდარღვევად.

45. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის იდენტიფიცირების სხვა მექანიზმები. სამედიცინო პერსონალს უნდა ევალებოდეს პრობლემების წარმჯრა ხელმძღვანელობის წინაშე. მას არ უნდა ჰქონდეს გათავისუფლების შიში არასათანადო მოპყრობის გაპროტესტების შემთხვევაში. მოსამართლეებმა უნდა იცოდნენ, რა ზომები მიიღონ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის წიშანთა არსებობისას. კერძოდ, უნდა დაინერგოს ციხეში მომუშავე „დამსმენთა“ დაცვის სისტემა. საჩივრების ნებისმიერი სისტემა, ამავდროულად, უნდა იცავდეს ციხის თანამშრომლებს სხვა თანამშრომელთა ბოროტი ან დაუსაბუთებელი ბრალდებისაგან; დაწესებულებების ფარგლებში კი ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რაც მომავალში შეამცირებს არასათანადო მოპყრობის ალბათობას, მოითხოვს, რომ პატიმრებისა და თანამშრომლების (და სხვა პირების) მიმართ - რომლებიც საჩივრით მიმართავენ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე - დაცული იყოს „დასმენა“ (პერსონალის მხრიდან) და პრეტენზიებისა თუ საჩივრების დაფიქსირება (სხვა პირების მხრიდან), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს არაკეთილსინდისიერად ხდება. ასეთი სისტემა სავალდებულოდ უნდა მიიჩნევდეს არასათანადო მოპყრობის ბრალდებათა დაფიქსირებას, იმ პირების დაცვას, რომლებიც ამგვარ ბრალდებებზე კეთილსინდისიერად მიუთითებენ, და მოიცავდეს დაფიქსირების მკაფიოდ განსაზღვრულ პროცედურებს. პროცედურობებმა უნდა გააცნობიერონ თავიანთი ვალდებულება, გამოიძიონ არასათანადო მოპყრობის ნიშნები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არსებობს აშკარა საჩივარი. შიდა დისკიპლინურ თუ მონიტორინგის ორგანოებსა და მოსამართლეებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ თავიანთი პასუხისმგებლობა, როდესაც არსებობს არასათანადო მოპყრობის ნიშნები (ხილული დაზიანება, პირის ზოგადი გამომეტყველება ან საქციელი).

46. საქართველოში სისტემა მთლიანად პროკურორზეა ორიენტირებული. ის მოსაზრება, რომ პროკურორს არ აქვს დისკრეცია და მან დევნა უნდა დაინტერესოს, როდესაც არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, უგულებელყოფს ძირითად ხარვეზებს შიდასახელმწიფოებრივ მოწერა. ერთ-ერთ ციხეში ვიზიტისას გვითხრეს, რომ სანერი საშუალებები ხელმისაწვდომი გახლდათ სოციალური მუშავების მოთხოვნის საფუძველზე, რაც, საყარაუდოდ, იმით იყო განპირობებული, რომ სანერი საშუალებები წარმოადგენდა რისკს პატიმრებისა და პერსონალისათვის. თუმცა, ამჟამად ე.წ. „ციხის საწერი კალმები“ ადვილად ხელმისაწვდომია.

ყობაში: იგულისხმება ის გარემოება, რომ გამოძიების ეტაპებს, როცა პროკურორი განსაზღვრავს ასეთი მტკიცებულების არსებობას, არ ახლავს საკმარისი სიმტკიცე, გაცნობიერებული მიზანი თუ ანგარიშვალდებულება. სწორედ აქ იჩენს თავს შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე დიდი ხარვეზი - ყველაზე მეტად წარმოჩნდება კონტროლისა და გაზრდილი ანგარიშვალდებულების საჭიროება. შეხვედრებზე აღინიშნა, რომ პროკურორის გადაწყვეტილება გამოძიების ან სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის თაობაზე გამოწვევაა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოებისათვის. არ იყო როული იმ დასკვნის გამოტანა, რომ სამართლებრივი დაცვის ასეთი მექანიზმი შესაძლებელია არაეფექტურიანი იყოს პრატიკაში, რადგან სავარაუდო მსხვერპლმა უნდა დაამტკიცოს, რომ პროკურორმა ვერ შეძლო სათანადო და საკმარისი მტკიცებულების გათვალისწინება კონკრეტულ შემთხვევაში. თუმცა, ასეთი მტკიცებულების არარსებობის მიზეზი შესაძლოა მნიშვნელოვანი ნაკლი აღმოჩნდეს გამოძიებისათვის, რაც, ძირითადად, განპირობებულია სისხლის სამართლებრივი დევნის ხარვეზებით. დევნის შეწყვეტაზე პროკურორის გადაწყვეტილების გადახედვის მოთხოვნა ნაკლებად შესაძლებელია, პრატიკაში გამოყენებული იქნას, ხოლო აქცენტი კონტროლსა და ანგარიშვალდებულებაზე უფრო ადრეულ სტადიაზე უნდა კეთდებოდეს. ასეთი კონტროლისა და ანგარიშვალდებულების მიღწევა გარკვეული და შესაძლებელია პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებების მიღებითა და განხორციელებით - იმ პირობით, რომ აღნიშნული დოკუმენტით დადგინდება ნორმები, რომელიც უზრუნველყოფენ მონიტორინგსა და, შესაბამისად, ანგარიშვალდებულების გაზრდის საფუძველს. 2009 წლის სახელმძღვანელო მითითებები მიზნად ისახავს მკაცრი საგამოძიებო ვადების დადგენას და მითითებას აძლევს პროკურორებს, პრატლებები ზედმიწევნით გამოიძიონ. როგორც უკვე ითქვა, აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებები უნდა გამოქვეყნდეს ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე. ეს დოკუმენტი არ ითვალისწინებს შიდა მექანიზმს, რომელიც ზედამხედველობას გაუწევდა მითითებების შესრულებას და, კონკრეტულად, იმ გარემოებას, რომ გამოძიება არ შეწყდეს ფაქტების სრულყოფილად გამოკვლევის გარეშე. პროცესი არსებითად საგამოძიებოა, მაგრამ კვლავ არ გააჩნია დაცვის საკმარისი მექანიზმები პროკურორისათვის საქმის მხოლოდ ფორმალურ გადაცემასთან მიმართებით, როდესაც [პროკურორს] კვლავაც შეუძლია მარტივად დასკვნას, რომ არ დადგინდა არასათანადო მოპყრობა ან შეუძლებელია სამართალდამრღვევის იდენტიფიცირება. ამგვარად, არსებობს ისეთი სისტემის დანერგვის საჭიროება, რომელიც სავარაუდო მსხვერპლს საშუალებას მისცემს, გაასაჩივროს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება გამოძიების საწყის და შემდგომ ეტაპებზე ასეთი სახელმძღვანელო მითითებების გააზრებულ შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია, მაგალითად, სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე გად-

აწყვეტილების შიდა ან სასამართლოს წინაშე განხილვის მოთხოვნის გათვალისწინებით.

#### **d. მოტივაცია არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრელად**

47. არსებითი მნიშვნელობისაა მკაფიო გზავნილი არასათანადო მოპყრობისადმი „ნულოვანი ტოლერანტობის“ თაობაზე. იგი აგრეთვე გულისხმობს პრინციპს, რომ არასათანადო მოპყრობისათვის სანქციის დაკისრება ადეკვატურად მიიჩნევა, თუ გათვალისწინებულია ასეთი მოპყრობის სიმძიმე. საკანონმდებლო რეფორმის სავარაუდო აუცილებლობას განაპირობებს ორი საკითხი. პირველ რიგში, როგორც გვითხრეს, წარსულში არსებული გარემოება, რომლის შესაბამისადაც გადაწყვეტილება საჩივრის დაუსაბუთებლობის შესახებ საბოლოოა, შესაძლოა სირთულეებს უკავშირდებოდეს, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამკარად გამორიცხავს დაუსაბუთებლად მიჩნეული საჩივრების ხელახლა განხილვას. პირველს, რომლებსაც უარი ეთქვათ საჩივრის დაკმაყოფილებაზე გამოძიების შემდეგ და მიეცათ „მსხვერპლის“ სტატუსი, იურიდიული დახმარების უფლება მხოლოდ მაშინ აქვთ, როდესაც მათი გასაჩივრების უფლება (ანუ უფლება, გაასაჩივროს პროკურორის გადაწყვეტილება საქმის შეწყვეტის თაობაზე) არ არის ამონურული. ასეთ შემთხვევაში საკანონმდებლო რეფორმა სასურველია. მეორე, არ იყო ბოლომდე გასაგები, თუ რა ფარგლებში შეუძლიათ გამომძიებლებასა და პროკურორებს საქართველოში პროცესის გაგრძელება „მსგავსი ფაქტის“ მტკიცებულებაზე დაყრდნობით (ანუ ერთი სავარაუდო სამართალდამრღვევის შესახებ ერთმანეთთან კავშირში არმყოფი რამდენიმე პირისაგან მიღებული შინაარსობრივად მსგავსი მტკიცებულებები - რათა დადგინდეს ქცევა პირის მხრიდან - რომლებიც თითოეულ შემთხვევაში ავსებენ ერთმანეთს). დასმულ კითხვებზე გაცემული პასუხებიდან დიდი ეჭვი გამომდინარებდა, რომ ეს არის კონცეფცია, რომელსაც არ იკნიბენ პროკურორები და გამომძიებლები,<sup>66</sup> რაც ხარვეზია დაუსჯელობის წინააღმდეგ ეფექტუანად ბრძოლის კუთხით. შეცდომაა, თითოეული საჩივარი სხვა საჩივრისაგან სრულიად დამოუკიდებლად განიხილებოდეს, ხოლო ის ფაქტი, რომ ერთმანეთთან დაუკავშირებელი მთელი რიგი საჩივრები ერთი მოხელის წინააღმდეგ არის მიმართული, გარკვეული წინის მქონედ უნდა ჩაითვალოს. თუმცა, ეს, თავის მხრივ, მოიაზრებს ისეთი სისტემის არსებობას, რომელიც გამომძიებლებს საშუალებას მისცემს, არსებითი ელემენტები გამოიყენონ მთელ რიგ საჩივრებთან მიმა-
66. Cf მე-14 ზოგადი ანგარიში, CPT/Inf (2004) 28, პუნქტი 33: „უნდა ჩატარდეს სრულყოფილი გამოძიება. წამების საწინააღმდევო კომიტეტმა განიხილა რამდენიმე საქმე, როდესაც სავარაუდო არსათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული მრავალი შემთხვევისა და ფაქტის მიუხედავად, გამოძიების ფარგლები არაჯეროვნად იყო შეზღუდული, ხოლო მნიშვნელოვანი ეპიზოდები და მათთან დაკავშირებული გარემოებები, რომებიც არასათანადო მოპყრობაზე მიანიშნებდა, უგულებელყოფილი.

რთებით, რათა შეძლონ დამტკიცება, არის თუ არა რომელიმე ქცევა განსხვავებული; იგი ასევე მოიაზრებს გარკვეულ შემთხვევებში იმ საქ-მების ხელახლა განხილვის შესაძლებლობას, რომლებიც შეწყდა მტ-კიცებულების არარსებობის გამო.

#### **ე. სხვა დაკავშირებული საკითხები**

48. სხვა საკითხები წარმოდგენილია მხოლოდ მოკლე კომენტარების სახით. ციხის პერსონალის შერჩევა და სამსახურში მიღება მოითხოვს სწრაფ რეაგირებას. განხილვებისას ძალიან ხშირად მიუთითებდნენ ციხის თანამშრომელთა გადინებაზე, რაც საკმაოდ მაღალია (ბევრი ტოვებს სამსახურს შედარებით ხანმოკლე პერიოდის შემდეგ). ამის ორი მიზ-ეზი დასახელდა. პირველი, არსებული მოსაზრებით, თანამდებობაზე დანიშვნის კრიტერიუმები ციხის თანამშრომელებისათვის არ იყო საკ-მარისად ადეკვატური იმ პირთა იდენტიფიცირებისათვის, რომლებიც არ შეესაბამებოდნენ მოთხოვნებს. მეორე, დანინაურების პერსპექტი-ვა, როგორც ჩანს, ძალიან შეზღუდულია. ციხის უფროსების თანამ-დებობებზე ხშირად პირდაპირ ნიშნავენ პოლიტიკური გამოცდილების მქონე პირებს, რადგანაც არ არსებობს რაიმე სპეციფიკური მოთხოვნა სამსახურში მისაღებად. მართალია, ციხის ზოგიერთი თანამშრომელი შეიძლება ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაინიშნოს, მაგრამ ეს ხშირ შემთხვევებში გამონაკლისია. შეხვედრის რამდენიმე მონაწილის აზრით, საჭიროება მოითხოვს, რომ უფროსის თანამდებობა მისაწვდომი იყოს ციხის თანამშრომელებისათვის, რათა ოფიცირის გამოცდილების მქონე პირებს მიეცეთ დანინაურების რეალური შესაძლებლობა და, შესა-ბამისად, დამატებითი მოტივაცია კარიერის არჩევისას.
49. ამავდროულად, გადაუდებლად საჭიროა ციხის თანამშრომლების გან-ვითარებისა და პროფესიული მომზადების (ტრენინგის) გაფართოე-ბა. საქართველოში არსებობს შთამბეჭდავი რესურსებით აღჭურვილი სასწავლო ცენტრი, რომელიც ატარებს საბაზო და სპეციალიზებულ სასწავლო კურსებს. მას აქვს პოტენციალი, ციხეში მომუშავე პირებს დაეხმაროს უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და შესაბამისი მიდგომე-ბის ცვლილებაში. აშეარაა ახალი მიდგომები (სპეციალური დამატე-ბითი ტრენინგის საჭიროებათა იდენტიფიცირება, მიუხედავად იმისა, რომ იგი განისაზღვრება უფროსის მიერ და არა, მაგალითად, თანამ-შრომელთა რეგულარული შეფასების საფუძველზე). ციხის ოფიცირის სამუშაო დაკავშირებულია თანმდევ სტრესთან და დიდი ალბათობაა, რომ ზემოთ განხილულმა სიტუაციამ - რომლის დროსაც არსათანადო მოპყრობა სამსახურებრივი კულტურის შემადგენილი ნაწილი გახდა და ეს აისახა ციხის რეზიმის კონტროლისა და უსაფრთხოების არარსებო-ბის ფუნდამენტურ განცდაში - განაპირობა ციხის ბუნტი. წარსულში ხელმძღვანელ თანამდებობებზე იმ პირების დანიშვნამ, რომლებსაც არ

ჰერონდათ სათანადო მომზადება, თავისი როლი შეასრულა ამ სიტუაციაში. როგორც ჩანს, ახლა ციხის უფროსებს მოეთხოვებათ მხოლოდ სამდლიანი საბაზო ტრენინგის გავლა, თუმცა, გარკვეულწილად, ესეც საქმარისია მათ დასახმარებლად ლიდერ პოზიციებზე საჭირო უნარ-ჩევევების გამომუშავებაში. გადაუდებელი აუცილებლობა მოითხოვს ტრენინგის შემუშავებასა და გავრცობას ხელმძღვანელი პრეზიდენტისათვის. ციხის თანამშრომელთა არსებული საბაზო ტრენინგი ითვალისწინებს 18-დღიან სწავლებას სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში. ჩვენ არ გვქონდა საკმარისი შესაძლებლობა, დეტალურად შეგვესწავლა პროგრამების შინაარსი, თუმცა, როგორც ჩანს, ტრენინგის წარმატებით გავლა არ იყო თანამდებობაზე დანიშვნის წინაპირობა, რამდენადაც თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ ტარდება; მართალია, 2010 წლიდან მოქმედებს გამოსაცდელი ვადა (რაც იძლევა პრობლემების, მაგალითად, მიდგომასთან დაკავშირებული ხარვეზების, გამოსწორების საშუალებას), მაგრამ, როგორც გვითხრეს, გამოსაცდელი ვადა უფრო ფორმალურია, ვიდრე რეალური, რადგანაც ფაქტობრივად არ ყოფილა შემთხვევა, თანამდებობაზე გამოსაცდელი ვალით დანიშნული პირი გაეთავისუფლებინათ. ზემოხსენებული დისკუსიებიდან გამომდინარე, ტრენინგი ციხის სამედიცინო პერსონალზეც უნდა გავრცელდეს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ნიშნების დაფიქსირებასა და დასკვნაში ასახვასთან დაკავშირებით.<sup>67</sup>

50. აღნიშნულ საკითხზე განხილვების დროს ასევე გამოვლინდა სათანადო მსარდაჭერის არარსებობა ციხის პერსონალისათვის. მართალია, ბოლო პერიოდში დაინერგა მენტორების სისტემა, მაგრამ კვლავ აშკარაა განვითარების ელემენტარული დონე. უფრო კონკრეტულად, ზოგიერთ შეხვედრაზე მოხაზილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა არა მარტო პატიმრების, არამედ ციხის პერსონალის სათანადო ფსიქოლოგიური და ფსიქიატრული სამსახურებით უზრუნველყოფაც.
  51. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ციხის სამედიცინო პერსონალი. აშკარაა, რომ სამედიცინო პერსონალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არასათანადო მოპყრობის პრევენციისა და გამოძიების პროცესში.<sup>68</sup> შესაძლოა, სამედიცინო პერსონალი მონაბილეობდეს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ადრეულ სტადიაზე, ხოლო სამედიცინო დახ-
67. ზემოთ იხ. პუნქტები 25-26.
68. აღნიშნულ გარკვეული შემთხვევები სამედიცინო სამსახურის მხრიდან სასტიკი მოპყრობის შესხებ, მაგრამ ეს საკითხი ამ ანგარიშის ფარგლებს მიღმა რჩება. მაგალითად, როგორც ითქვა, სამედიცინო დახმარება შესაძლოა გაჭიანურებულიყო დასკვის მიზნით; პატიმრებზე შეიძლება დაესაჯათ სამედიცინო მომსახურების მოთხოვნის გამო, თუ ის საჭიროდ არ მიჩნეოდა; და რომ ფსიქოტროპული საშუალებების გამოყენება ციხეში გასამაგდა 2012 წლის სექტემბრიდან, რაც გვიფირებინებს, რომ პატიმართა დასამშვიდებლად წამლების გამოყენება ზრდიდა მათ წამალდმოკიდებულებას.

მარებისას და მიუენებულ დაზიანებათა ზედმინევნით დაფიქსირებისას მას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს შემდგომი გამოძიებისათვის. ჩვენთვის შთამბეჭდავია გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავს გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებასა და პატიმრებისათვის სამედიცინო მომსახურების სწრაფ გაუმჯობესებას. გარკვეული ნაბიჯები ამ მისართულებით უკვე გადაიდგა.<sup>69</sup> თუმცა, შესაძლებელია სამედიცინო პერსონალის აქტიური ჩარევა უფრო ზოგადად (პროფესიული საიდუმლოების ხელყოფის გარეშე). შიდასახელმწიფოებრივი მონიტორინგის ერთ-ერთმა უწყებამ აღნიშნა, რომ სამედიცინო პერსონალს პატიმრები „სისტემის ნაწილად“ აღიქვამდნენ. საჭიროა გადაუდებელი ზომების მიღება ციხეში სამედიცინო მომსახურების ავტონომისა და პროფესიონალიზმის გასაძლიერებლად. ციხის ექიმებსა და ექთნებს, როგორც სამედიცინო პერსონალს, პირველ რიგში, პასუხისმგებლობა ეკისრებათ პატიმრების, როგორც პაციენტების, წინაშე. განსაკუთრებით ექიმებს ესაჭიროებათ მეტი ავტონომია და პროფესიული საქმიანობის დაცვა. საჭიროა სათანადო ზომების მიღება მათი პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად და, შეძლებისდაგვარად, სამოქალაქო სექტორის სამედიცინო სამსახურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ნაბიჯები უნდა გადაიდგას სამისოდ, რომ მთელ სამედიცინო პერსონალს ჰქონდეს სპეციფიკური ცოდნა, რაც მათ მისცემს ციხეში არსებულ პათოლოგიათა კონკრეტული ფორმების მკურნალობის საშუალებას; აგრეთვე გათვალისწინებული იქნეს აღიარებული პროფესიის დანერგვა ექიმებისა და ექთნებისათვის სამაგისტრო სწავლებითა და სამსახურში რეგულარული ტრენინგების მეშვეობით. ამ უფლების ხელმისაწვდომობაში ჩარევისა და კონსულტაციის კონფიდენციალობის დარღვევის ნებისმიერი მცდელობა ციხის პერსონალის მხრიდან დისციპლინურ სანქციებს უნდა ითვალისწინებდეს. მკურნალობის მიზნით პატიმრების გადაყვანა სააგადმყოფოში (ციხის სისტემის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ) უნდა გადაწყვიტოს კვალიფიციურმა სამედიცინო პერსონალმა და არა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა ორგანომ ან ადმინისტრაციამ. თითოეული პატიმრის მკურნალობასთან დაკავშირებული მასალების შეგროვება, მათი კონფიდენციალობა და ხანგრძლივად შენახვა სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს. ტრავმების დაფიქსირება უნდა გაუმჯობესდეს: ძალადობის ნებისმიერი ხილული ნიშანი სათანადოდ უნდა აღინუსხოს პატიმრის ნებისმიერ განცხადებასა და ექიმის დასკვნასთან

69. კერძოდ, გარკვეულწილად საბიუჯეტო ზრდა არსებობდა (თუმცა, უცნობია, რამდენად მნიშვნელოვნია ეს ზრდა რეალურად, ინფლაციის გათვალისწინებით); დაინერგა ახალი მექანიზმი უკურნებელი სენით დაავადებულ პატიმართა გათავისუფლებასთან დაკავშირებით (ამასთანავე, იგეგმება სხვა რეფორმებც ამ კუთხით); ბოლო პერიოდში მომზადდა (ციხის სამედიცინო სამსახურის ახალი „შუალედური სტრატეგია“; მიღებულია მთელი რიგი ზოგი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ C ჰესატიტით დავადებულ პატიმრებთან დაკავშირებით იდენტიფიცირებულ პრობლემებშე რეაგირების კუთხით.

ერთად. ეს ინფორმაცია პატიმრისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოთხოვნის შემთხვევაში. სამედიცინო საიდუმლოება ციხეში ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც საზოგადოებაში. პაციენტის შესახებ დოკუმენტაციის შენახვა ექიმის პასუხისმგებლობაა. უნდა დაინერგოს პატიმრის გათავისუფლების შემდეგ მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მასალების შეგროვებისა და განსაზღვრული ვადით საიდუმლოდ შენახვის სისტემა. ციხის სამედიცინო სამსახური უნდა ანარმოებდეს პერიოდულ სტატისტიკას დაზიანებების შესახებ და ამ ინფორმაციას აწვდიდეს ციხის ხელმძღვანელობას, შესაბამის მინისტრებს, შედა და გარე მონიტორინგის ორგანოებს ეროვნულ დონეზე (კერძოდ, სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო და სხვა დეპარტამენტებსა და ომბუდსმენს).

52. კომენტარს საჭიროებს სოციალურ მუშაკთა როლი სასჯელალსრულების სისტემაში. შეზღუდული დროის გამო შეუძლებელი გახდა მათი პოტენციური როლის შესხვალი, მაგრამ ცხადია, რომ იყო მცდელობა მათი უფლებამოსილების გაძლიერებისა, ციხებში სათანადო ატმოსფეროს შექმნის მიზნით. რეალური შესაძლებლობა არსებობს, რომ სოციალურმა მუშაკმა, თუნდაც მცირე როლით, ხელი შეუწყოს საჩივრებისა და პრეტენზიების კომუნიკაციას.<sup>70</sup>
53. უდავოა, რომ ციხეები არსებითად „დახურული“ ადგილებია; თუმცა, საქართველოს პენიტენციალური სისტემა გაუმართლებლად მაღალი ხარისხითა დახურული ვიზიტებისათვის. შესაბამისად, როგორც ითქვა, სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინსპექციის დეპარტამენტიც კი აშკარად ვერ ახორციელებდა ციხეების ინსპექციორებას; მაშინაც, როცა ახერხებდა ციხეში შესვლას, მონიტორინგის ორგანოებისათვის - მაგალითად, ეროვნული პრევენციის მექანიზმისა (ომბუდსმენი) და საერთაშორისო დონეზე წამების საწინააღმდეგო კომიტეტისათვის - ცნობილი იყო იქ არსებული ატმოსფერო, სადაც პატიმრებთან კონტაქტი უკავშირდებოდა შემის ფაქტორს. საზოგადოებრივი პროტესტის შედეგად - რაც დააჩქარა ვიდეოჩანაწერების ჩვენებამ და რასაც მოჰყვა მთავრობის შეცვლა - ჩანს, რომ ციხეები უფრო ღია გახდა პაემნებისათვის.<sup>71</sup> მნიშვნელოვანია ამ ახალი იმპულსის შენარჩუნება: დაშინება ნაკლებად შესაძლებელი იქნება, რაც გარესამყაროსთან მეტი კონტაქტის საშუალება ექნებათ პატიმრებს. ევროპის ბევრ ქვეყანაში პროფესიონალების ჯგუფები, რომლებიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხებზე მუშაობენ, ციხ-
70. მაგალითად, ამჟამად სოციალურ მუშაკებს ევალებათ პატიმართა წერილების რეგულირება.
71. როგორც უკვე აღინიშნა, რამდენიმე შიდაუწყვებრივი ორგანო აქტიურად ახორციელებს მონიტორინგს, მათ შორის სამინისტროს ინსპექციის სამართველო. როგორც გვითხრეს, ახლა პატიმრებს რეგულარულად ნახულობენ მინისტრები.

ეებს მოინახულებენ უმაღლესი განათლების ან ტრენინგის ფარგლებში. გრძელვადიან პერსპექტივაში საჭიროა ციხეების გახსნა მეტი მნახველისათვის, რომლებიც მუშაობენ სისხლის სამართლის პოლიტიკის მიმართულებით, რათა მეტად შეეწყოს ხელი რეალურ ინფორმირებულობას მოქმედ სისხლის სამართლის პოლიტიკასთან დაკავშირებით.

54. ციხის დახურული სამყაროს გახსნის სხვა ფორმებიც არსებობს. საქართველოს პენიტენციალური სისტემის ხარვეზები უფრო შესამჩნევია, პოლიციის ნინასწარი პატიმრობის ადგილებში არსებულ სიტუაციასთან შედარებით. მართალია, შეუძლებელია ითქვას, რომ არასათანადო მოპყრობა მთლიანად აღმოითხვრა პოლიციის სამსახურებში, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდა ბრალდები ასეთი მოპყრობის თაობაზე.
55. აღსანიშნავია ბოლოდროინდელი სიახლე შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) დაქვემდებარებულ ნინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში. ამ გამოცდილების გაზიარება შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტისათვის. შსს-ს დაქვემდებარებული ფროებითი დაკავების იზოლატორების (ე.წ. ნინასწარი პატიმრობის ცენტრები) მონიტორინგს ამჟამად, როგორც გვითხრეს, ახორციელებენ შსს-ს ცენტრალური აპარატის თანამშრომლები, რომლებსაც ხელი შიუწვდებათ ვიდეოთვალთვალის (CCTV) გამოსახულებაზე. გადაცემა კომპიუტერების მეშვეობით რეალურ დროში მიმდინარეობს. CCTV-ის კამერების გამო, არასათანადო მოპყრობა შესაძლებელია სხვაგან მოხდეს, მაგრამ ციხების საკვანძო ადგილებში კამერების დამონტაჟებას შეუძლია მომავალში მინიმუმადე დაიყვანოს მოხელეთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტები. შსს-ს პრაქტიკა ყველა ციხეში უნდა გავრცელდეს (და არა მხოლოდ გარკვეულ დაწესებულებებში), ხოლო სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ ვიდეოგამოსახულებაზე, რომელიც, ფაქტობრივად, ციხეში არსებულ ვითარებას რეალურ დროში ასახავს. ამასთანავე, ციხეში უნდა შენარჩუნდეს ვიდეოგადაღება განსაზღვრული დროის განმავლობაში, რათა შიდა მონიტორინგის სამსახურს ან გამომძიებელს, საჭიროების შემთხვევაში, ხელი მიუწვდებოდეს შესაბამის ჩანაწერებზე (ეს კი მოითხოვს მათ შენახვას კვირების და არა დღეების განმავლობაში).
56. ასევე შევეცადეთ შეგვესწავლა ფარგლები, რომლებიც მოიცავს პატიმრის გადაყვანას სხვა დაწესებულებაში, როდესაც მას არასათანადო ეპყრობიან ციხის თანამშრომელი ან თანამშრომლები და, დაუსჯელობის შემთხვევაში, არსებობს არასათანადო მოპყრობის განმეორების გრივივრული რისკი.<sup>72</sup> მართალია, პატიმრის ადვოკატს შეუძლია
72. საკითხთან დაკავშირებით ამომწურავი ინფორმაცია წარმოგვიდგინა საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელმა. იგი შეხვდა პატიმრებს, რომლებიც არასათანა-  
44

მოითხოვოს გადაყვანა, მაგრამ, როგორც ჩანს, არ არსებობს რაიმე სტატიისტიკური მონაცემები ასეთ მოთხოვნებზე რეაგირების შესახებ. პატიმართა გადაყვანის თრგანიზებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები არ არის ყოველთვის მკაფიოდ განსაზღვრული (მაგალითად, თუ პატიმარი არასრულწლოვანია, შესაძლებელია, არ არსებობდეს ალტერნატიული ადგილები არასრულწლოვანთა პატიმრობის დაწესებულებებში, ხოლო გადაყვანა ნებისმიერ შემთხვევაში იწვევდეს ოჯახისათვის მისი მონაცელების პრობლემას). როდესაც არასათანადო მოპყრობა ხშირია პენიტენციალურ სისტემაში, ლოგისტიკური გამოწვევები ნებისმიერ შემთხვევაში მკაცრად გამოვლინდება. თუმცა, მომავალში, როდესაც დადგინდება არასათანადო მოპყრობის ნიშნები კონკრეტულ პატიმართან მიმართებით, მიზანშეწონილი იქნება შესაბამისი ზომების დაუყოვნებლივ მიღება, რაც გულისხმობს მის გადაყვანას გამოიძიების ჩატარებამდე. მთელ რიგ გამონაცლის შემთხვევებში შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს პატიმრის დროებით გადაყვანა სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს დაქვემდებარებიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებით დაკავების იზოლატორში. ასეთი გადაყვანა ამჟამად არ არის ნებადართული. ეს შესაძლოა გარკვეულ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდეს, თუმცა, მისი გამართლება დასაშვებია გამონაცლის შემთხვევებში.

57. ბოლო საკითხი ეხება ჭიხის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსს. ერთ-ერთ დაწესებულებაში, რომელიც მოვინაცელეთ, კოდექსი ელექტრონული ფორმით ადვილად ხელმისაწვდომი იყო; სხვა დაწესებულებებში ხუთი ხელმძღვანელიდან არც ერთმა არ იცოდა კოდექსის შესახებ. შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ ჭიხის თანამშრომლები არსებით მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, თუ რამდენად ეთიკური იყო გარკვეული ქცევა, რომელიც მინისტრის ბრძანებით იყო ან არ იყო აკრძალული (მაგალითად, ქცევა, რომელიც დისციპლინურ გადაცდომა). მთლიანობაში ეს არ იყო დამაკმაყოფილებელი. თუ მხოლოდ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, რომ, რაც აკრძალული არ არის, ნებადართულია, ძალიან მცირე შესაძლებლობა არსებობს პროფესიული სტანდარტების გასაცნობიერებლად ან მიღვიმების შესაცვლელად, გარდა იმისა, რაც დამოკიდებულია მონიტორინგზე.

დო მოპყრობას ამტკიცებდნენ. მათი ესკორტირება ერთ-ერთმა იმ მოხელემ განახორციელა, რომელიც, სავარაუდოდ, მონაწილეობდა არასათანადო მოპყრობაში. მან გააფრითობდა პატიმრები, რომ დაისჯებოდნენ, თუ პრეტენზიას გამოთქვიდნენ ცებასთან დაგაცშირებით. შემდგომში მოხელემ მოთხოვა დაწესებულების დარექტორთან შეხვედრა და პასუხსმგებელი ოფიცირის დაუყოვნებლივ დროებით ჩამომირება სამსახურდან, თუმცა, მოხელემ არ იცოდა, ასეთი ქმედება წარმატებული იქნებოდა თუ არა სასჯელის თავიდან ასაცილებლად.

#### **4. პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოკყობაზე საჩივრებისა და ა.შ. განებილვის სისტემა - მომღევეობის შეცვედრები**

58. 2009 წლის ანგარიში შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) დაქვემდებარებულ წინასწარი დაკავების იზოლატორებში არასათანადო მოპყრობის გამოძიების შესახებ ითვალისწინებს მთელ რიგ რეკომენდაციებს, რომლებიც მიზნად ისახავს არა მარტო არსებული პროცედურების ეფექტიანობის გაზრდას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, არასათანადო მოპყრობის რისკის თავიდან აცილებას. ეს რეკომენდაციები შეიძლება ოთხ ნაწილად დაიყოს: არასათანადო მოპყრობის ბრალდებულთან დაკავშირებულ საჩივართა განხილვის უკეთესი პროცედურები; ისეთი სისტემების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო მტკიცებულებებს გამოძიებისათვის; სტატისტიკური აღრიცხვის გაუმჯობესება; და მიღვომების ცვლილება არასათანადო მოპყრობასთან მიმართებით „ნულოვანი ტოლერანტობის“ გასამყარებლად.

59. თუმცა, 2013 წლის ვიზიტი, ძირითადად, ორიენტირებული იყო პატიმართა საჩივრების გამოძიების შესწავლაზე. აშკარაა, რომ ძველ ანგარიშში ასახული მთელი რიგი რეკომენდაციები პოლიციის სისტემის შესახებ ასევე ქმედითია ციხის თანამშრომელთა წინააღმდეგ საჩივრების გამოძიებასთან მიმართებით. ესენია:

- პროცეურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებების გამოქვეყნება, რაც ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებულებისა და საჩივართა განხილვის სისტემის მიმართ ნდობის ამაღლებას.
- რეაგირება პრობლემაზე, რომ პირველი დაკითხვის შემდეგ პირი, რომელმაც შეიტანა საჩივარი, არ მონაწილეობს პროცედურაში, რათა, სულ მცირე, მიეცეს შესაბამისი მოხელის პასუხებზე კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა.
- იმის უზრუნველყოფა, რომ პროცეურორები მუდმივი ზეწოლის ქვეშ არ იყენებ დევნის გახორციელებისას, გამოძიება არ მიმდინარეობდეს ხანგრძლივად და ნებისმიერი დევნა, როდესაც არსებობს ეჭვი არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, ინიცირებული იყოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის (და არა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ დებულებების) საფუძველზე.
- სერიოზული მსჯელობა დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს ან, სულ მცირე, დამოუკიდებელი ორგანოს შექმნაზე, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცეურორების მხრიდან ინდივიდუალური საქმეების განხილვას.
- იმის უზრუნველყოფა, რომ არასათანადო მოპყრობისათვის კომპენსაციის მიღების უფლება იყოს რეალური და არა მხოლოდ თეორიუ-

ლი (მაგალითად, არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში სამოქალაქო სამართლის წესით კომპენსაცია, როდესაც შეუძლებელია პოლიციის კონკრეტული თანამშრომლების იდენტიფიცირება).

- შესაძლო არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში მოსამართლებისათვის იმის მოთხოვნა, რომ პოლიციის მიერ დაკავებული პირები ჩვეულ სამუშაო რეზიტი დაკითხონ არასათანადო მოპყრობის ბრალდებასთან დაკავშირებით და მოითხოვონ დამოუკიდებელი სამედიცინო შემოწმება, ფორმალური საჩივრის არარსებობის დროსაც კი.

60. პოლიციასთან დაკავშირებით, სხვა რეკომენდაციებს შესაძლოა გარკვეული მსგავსება ჰქონდეს ზემოხსენებულებთან. კერძოდ, ადრინდელი რეკომენდაციები ითვალისწინებდა:

- ვადის შემცირებას სასამართლო ექსპერტიზის სამედიცინო დასკვნის მოსაპირებლად.
- მეტ კოორდინაციას შიდა მონიტორინგის ორგანოებსა და პროკურატურას შორის, აგრეთვე საქმის პროკურატურიდან შსს-სათვის დაბრუნებას იმასთან დაკავშირებით, ადეკვატურია თუ არადისცუპლინური ზომა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი ჯეროვნად მიიჩნევს, რომ არასაკმარისი მტკიცებულება არსებობს სისხლის სამართლის დევნისათვის.
- საჩივრების დაფიქსირებისა და მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესებას და მთელი რიგი საჩივრებისა და მათზე გაცემული პასუხების რეგულარულ გამოქვეყნებას.

61. რეკომენდაციათა ამ ორი წელის ურთიერთგადაკვეთის ხარისხი არ არის გასაკვირი. 2013 წლის თებერვლის დისკუსიების დროს გამოვლინდა, რომ ბევრი საკითხი უკვე მოგვარებულია ან განხილვის სტადიაზეა.

62. 2013 წლის თებერვალში შესაძლებელი გახდა შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებთან შეხვედრებისას (თუმცა ხანმოკლე) განგვეხილა დღეის მდგომარეობით მიღწეული პროგრესი სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ამასთანავე, მოგვეცა დროებითი დაკავების ორი იზოლატორის მონახულების შესაძლებლობა, რათა ადგილზე შეგვესწავლა პროცედურების გამოყენების პრაქტიკა<sup>73</sup>. გარკვეული პროგრესი ნამდვილად შეიმჩნევა. მისასალმებელი იყო, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა რეკომენდაციების შესასრულებლად იდენტიფიცირებული პრობლემების მოგვრებისათვის, დასკვნებთან და ა.შ. მიმართებით, რომელთა გამოყენება შემდგომში შესაძლებელი იქნებოდა მტკიცებულების სახით (ეს, შესაბამისად, ამცირებს იმის რისკს, რომ პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას მტკიცებულების არასკმარისო-

73. დოროებითი დაკავების იზოლატორების ინფრასტრუქტურის განახლების პროგრამა ხორცილდებოდა ორ დაწესებულებაში, რომლებიც მოვინახულეთ. დაკავებულ პირებთან შეხვედრაზე უარი გვითქვა, თუმცა, ორივე დაწესებულების პერსონალთან განვიხილეთ პროცედურები.

ბის საფუძველზე). მეტი ყურადღება დაეთმო [დაზიანებების] ზედმიწევნით დაფიქსირებას, ეჭვმიტანილისათვის პროცესუალური უფლების მიცემას დაკავებისთანავე და პროაქტიულ რეაგირებას სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოხატულ ნიშნებზე. კერძოდ, მნიშვნელოვანი ზომები გატარდა მონიტორინგის მექანიზმის გასაუმჯობესებლად, მათ შორის, ამ მიზარულებებით: ყველა იზოლატორში ვიდეოკამერების დამონტაჟება (რომლის მონიტორინგი შსს-ს ცენტრალური აპარატიდან ხორციელდება), შსს-ს გენერალური ინსპექციის გაძლიერება, ადვილად ხელმისაწვდომობა ინსპექციის ერთიან წესებსა და დაკავებული პირებისათვის საჩივრების შეტანის მექანიზმზე (მათ შორის, ვებგვერდის მისამართის გამოქვეყნება). როგორც გვითხრეს, უფრო პროაქტიულ მიდგომას ჯევდებით დაკავებულ პირთა ჯანმრთელობის დაცვასთან (ფისიოლოგიური მომსახურების ჩათვლით) დაკავშირებით. როგორც ჩანს, ამჟამად უკეთესი კოორდინაცია არსებობს შიდა ინსპექციის სამსახურებსა და პროკურატურას შორის. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ რეალური პროგრესია მიღწეული სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში.

## **რეკომენდაციების შეჯამება: მექანიზმები ციხეებთან დაკავშირებით**

### **პატიმრებისა და სხვა პირების საჩივრები**

1. სანქციის დაკისრების მუქარა ან მისი დაკისრება მონიტორინგის ორგანოებთან კომუნიკაციისათვის უნდა იყოს დისციპლინური სამართალ-დარღვევა.
2. პირები, რომელსაც შეაქვთ საჩივარი არასათანადო მოპყრობის თაობაზე, ან მიუთითებენ ასეთი მოპყრობის სხვა ნიშნებზე, არ უნდა ექვემდებარებოდნენ სისხლის სამართლებრივი დევნის რისკს, თუ საჩივარი ან დასკვნა არ არის აქტუალული ან ამ უფლების ბოროტად გამოყენებაა. პატიმრებს უნდა შეეძლოთ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ პრობლემათა კომუნიკაცია ოფიციალური დისციპლინური სანქციის შემსის გარეშე; თუ აუცილებელია, გამონაკლის შემთხვევებში პატიმრებს უნდა შეეძლოთ, მოითხოვონ სხვა დაწესებულებაში გადაყვანა.
3. საწერი საშუალებები წერილობითი საჩივრების გასაგზავნად ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს: საჩივრის დალუქულ კონვერტზე იოლად უნდა მიუწვდებოდეთ ხელი ციხის სხვადასხვა ადგილზე და მისი მილება არ იყოს დამოკიდებული სპეციალურ მოთხოვნაზე; აგრეთვე, პატიმრებისათვის მისაწვდომი უნდა იყოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს „ცხელ ხაზი“ (სატელეფონო საშუალება), კონფიდენციალური კომუნიკაციის საფუძველზე.

4. პროეურორებს გაცნობირებული უნდა ჰქონდეთ თავიანთი ვალდებულება, გამოიძიონ არასათანადო მოპყრობის ნიშნები აშკარა საჩივრის არა-რსებობის შემთხვევაშიც კი და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.
5. მოსამართლებს უნდა ესმოდეთ, და, შესაბამისად, გაცნობირებული ჰქონდეთ, თავიანთი პასუხისმგებლობა გადამწყვეტი ზომების მიღებაზე, როდესაც სხვა ნიშნები (ხილული დაზიანება და პირის ზოგადი გამომეტყველება ან საქციელი) იძლევა ვარაუდის საშუალებას არასათანადოდ მოპყრობის შესახებ.
6. გრძელვადიან პერსპექტივაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების საკითხებზე მომუშავე პროფესიონალთა ჯგუფებს უნდა მიეცეთ ციხეში ვიზიტების საშუალება, როგორც უმაღლესი განათლების ან ტრენინგის ნაწილი, რაც ხელს შეუწყობს პერიტენციალურ სისტემაში არსებული მდგომარეობის რეალურად გაცნობას.
7. ციხეში არასათანადო მოპყრობაზე საჩივრების და ა.შ. შესახებ მონაცემთა შეგროვების ყოვლისმომცველი სისტემა აუცილებელია სავარაუდო არა-სათანადო მოპყრობის საწყისი ნიშნების გამოსავლენად, შემდგომი გამოძიებისა და საჩივრებსა ან ანგარიშებზე რეაგირების მონიტორინგისათვის.

#### **არასათანადო მოპყრობაზე პრალდებებისა და აშ. გამოძიების სისტემა**

8. სერიოზულ განხილვას საჭიროებს დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნა არასათანადო მოპყრობის თაობაზე ყველა საჩივრისა და ა.შ. გამოძიებისათვის; ან ალტერნატიულად, სულ მცირე, დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა, რომელსაც ექნება პროეურორის მიერ განხილულ ინდივიდუალურ საქმეებზე ზედამხედველობის უფლებამოსილება.
9. თუ გადაწყდება, რომ საჭირო არ არის დამოუკიდებელი ერთეულის შექმნა, უნდა ჩამოყალიბდეს, სულ მცირე, ცალკე საგამოძიებო განყოფილება, რომელიც პროეურატურას დაექვემდებარება და ექნება სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საქმეების განხილვის სპეციფიკური უფლებამოსილება. ამ განყოფილებას უნდა ჰქონდეს ოპერატიული დამოუკიდებლობა და მიეცეს მკაფიო მითითებები მეთოდებზე, რომელთა გამოყენებაც მოეთხოვება ასეთი გამოძიების ზედამხედველობისას; ჰქონდეს შესაბამისი რესურსები, თანამშრომლებს კი - მოტივაცია, რომ ასეთ სამსახურში მუშაობა პროფესიული მიღწევაა.
10. უნდა გამოქვეყნდეს მკაფიო სახელმძღვანელო მითითებები ან დირექტივები, რომლებიც მკაფიოდ განსაზღვრავს არასათანადო მოპყრობაზე

საჩივრების ან ბრალდებათა გამოძიების პროცედურებსა და ვადებს. გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად გამოქვეყნებულმა მითითებებმა უნდა გააფრთხილოს ციხის თანამშრომლები, რომ არსებობს ცალსახა გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრას მისი ეფექტიანად გამოძიებითა და დასჯით. თუ 2009 წლის სახელმძღვანელო მითითებები პროკურორებისათვის ადეკვატურად მიჩნევა, ისინი უნდა გამოქვეყნდეს ყოველგვარი გაჭიანურების გარეშე, რათა ხელი შეუწყოს პროკურორების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას.

11. სავარაუდო მსხვერპლს უნდა შეეძლოს გამოძიების საწყისი და მომდევნო ეტაპების გასაჩივრება პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებების შეუსრულებლობის საფუძველზე, მაგალითად, საქმის შეწყვეტაზე გადაწყვეტილების შიდა ან სასამართლო განხილვის მოთხოვნით. აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყონ იურიდიული დახმარება.
12. არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში გამომძიებლებსა და პროკურორებს უნდა შეეძლოთ პროცესის გაგრძელება „მსგავსი ფაქტის“ მტკიცებულებაზე დაყრდნობით (ანუ ერთი სავარაუდო სამართლამრღვევის შესახებ ერთმანეთთან კავშირში არმყოფი რამდენიმე პირისაგან მიღებული შინაარსიბრივად მსგავსი მტკიცებულებები - რათა დადგინდეს ქცევა პირის მხრიდან - რომლებიც თითოეულ შემთხვევაში ავსებენ ერთმანეთს).
13. აუცილებელია გარანტიების უზრუნველყოფა, რომ ხელი შეეწყოს სასაჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული დისციპლინური გამოძიების სისტემის დამზუკიდებლობისა და მთლიანობის დაცვას.
14. სასჯელალსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებს უნდა ჩაუტარდეთ ადეკვატური ტრენინგი და ჰესაბამისი მხარდაჭერა.
15. უნდა დაკონკრეტდეს სამსახურებრივი ურთიერთობები სასაჯელალსრულების დეპარტამენტის მონიტორინგის სამსახურსა და გენერალურ ინსპექციას შორის.
16. ციხეში არსებული სიტუაციის ვიდეოაგამოსახულება რეალურ დროში ცენტრალიზებულად ხელმისაწვდომი უნდა იყოს განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ვიდეოჩანაწერების შენახვით, რაც შიდა მონიტორინგის სამსახურს ან გამომძიებელს, საჭიროების შემთხვევაში, ჩანაწერებით უზრუნველყოფს.

## **ციხის პერსონალი**

17. უნდა შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, სადაც მართებული ქმედება იქნება კოლეგების მხრიდან არასათანადო მოპყრობის დაფიქსირება. უნდა არ-სებობდეს მკაფიო გაგება, რომ არასათანადო მოპყრობის ბრალეულობა ვრცელდება არა მხოლოდ ფაქტობრივ სამართალდამრღვევზე, არა-მედ ყველა იმ პირზე, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა არასა-თანადო მოპყრობის შესახებ და არაფერი გააკეთა მის აღსაკვეთად ან დასაფიქსირებლად. ეს ითვალისწინებს მკაფიო ანგარიშვალდებულების არსებობას, ისევე როგორც შესაბამისი ზომების მიღებას „დამსმენთა“ დასაცავად. უნდა დაინერგოს ციხეში მომუშავე „დამსმენთა“ დაცვის სისტემა, არასათანადო მოპყრობის შესახებ დასაბუთებული ბრალდე-ბების სავალდებულო დაფიქსირებასთან ერთად: დაცული უნდა იყვნენ ის პირები, რომლებიც კეთილსინდისიერად მიუთითებენ ბრალდებებზე, და დაინერგოს პრეტენზიების დაფიქსირების მკაფიო მექანიზმი.
18. სწრაფ რეაგირებას მოითხოვს ციხის თანამშრომელთა შერჩევა და სამ-სახურში მიღება, მათი ტრენინგი და მხარდაჭერა, კერძოდ, ციხის თან-ამშრომელთა თანამდებობაზე დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერი-უმებთან მიმართებით. ასეთი ტრენინგი ორიენტირებული უნდა იყოს პროფესიული სტანდარტების გააზრებასა ან მიღვინეული ცვლილებაზე. მაგალითად, ხაზი უნდა გაესვას ციხის თანამშრომელთა ეთიკის კოდექ-სის მნიშვნელობას.

## **ციხის სამედიცინო პერსონალი**

19. საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება მუდმივი ან მოწვეული სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების რეგულარული ხელშეწყობი-სათვის. სამედიცინო პერსონალს უნდა ჰქონდეს სპეციალისტი ცოდნა, რაც მათ მისცემს ციხეში არსებულ პათოლოგიათა კონკრეტული ფორმე-ბის მკურნალობის საშუალებას. აგრეთვე გასათვალისწინებელია აღიარე-ბული პროფესიის დანერგვა ექიმებისა და ექინებისათვის სამაგისტრო სწავლებისა და სამსახურში რეგულარული ტრენინგების მეშვეობით.
20. ამავდროულად, აუცილებელია შესაბამისი ზომების მიღება პროფესიუ-ლი დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად. კერძოდ, ციხის სამედიცინო პერსონალი დაცული უნდა იყოს სანქციებისაგან, როდესაც რეაგირე-ბას მოახდენს პატიმრის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ზოგადად გამოხატულ ნიშნებზე. უნდა არსებობდეს სამედიცინო პერ-სონალის მიერ დაფიქსირებულ ნიშნებზე რეაგირების სწრაფი სისტემა, რომელიც იცავს პაციენტის კონფიდენციალობას, ასევე პერსონალს, რომ დასმენის გამო არ დაეკისროს სანქციები.

21. პატიმრებს უნდა შეეძლოთ, სამედიცინო სამსახურს მიმართონ კონფიდენციალობის დაცვით, ციხის თანამშრომლებისათვის ხელმისაწვდომობის მოთხოვნისა და სანქციის შიშის გარეშე. ციხის პერსონალის მხრიდან ამ უფლების ხელმისაწვდომობაში ჩარევისა და კონსულტაციის კონფიდენციალობის დარღვევის ნებისმიერი მცდელობა დისციპლინურ სანქციებს უნდა დაექვემდებაროს. მკურნალობის მიზნით პატიმრების გადაყვანა საავადმყოფოში (ციხის სისტემის შიგნით თუ მის ფარგლებს გარეთ) უნდა გადაწყვიტოს კვალიფიციურმა სამედიცინო პერსონალმა და არა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელმა ორგანომ ან ადმინისტრაციამ.
22. თითოეული პატიმრის მკურნალობასთან დაკავშირებული მასალების შეგროვება, მათი კონფიდენციალობა და ხანგრძლივი ვადით შენახვა სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს. ტრავმების დაფიქსირება უნდა გაუმჯობესდეს: ძალადობის ნებისმიერი ხილული ნიშანი სათანადოდ უნდა აღინუსხოს პატიმრის ნებისმიერ განცხადებასა და ექიმის დასკვნასთან ერთად. აღნიშნული ინფორმაცია პატიმრისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოთხოვნის შემთხვევაში. სამედიცინო საიდუმლოება ციხეში ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც საზოგადოებაში. პაციენტის შესახებ დოკუმენტაციის შენახვა ექიმის პასუხისმგებლობაა. უნდა დაანერგოს პატიმრის გათავისუფლების შემდეგ მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მასალების შეგროვებისა და განსაზღვრული ვადით საიდუმლოდ შენახვის სისტემა.
23. ციხის სამედიცინო სამსახური უნდა აწარმოებდეს პერიოდულ სტატისტიკას მიყენებული დაზიანებების შესახებ და ამ ინფორმაციას აწვდიდეს ციხის ხელმძღვანელობას, შესაბამის მინისტრებს, შიდა და გარე მონიტორინგის ორგანოებს ეროვნულ დონეზე (კერძოდ, საჯაელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო და სხვა დეპარტამენტებსა და ომბუდსმენს).
- სასამართლო ექსპერტიზის სამსახურები**
24. საჭიროა ტრენინგის სასწრაფოდ ჩატარება იმ მოთხოვნის პარალელურად, რომ დასკვნები, რომლებიც ასახავს სავარაუდო არასათანადო მოპყრობას, სრულად შეესაბამებოდეს სტამბოლის ოქმს. საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებებით უნდა დაზუსტდეს, რომ „ცრუჩენება“ არ გულისხმობს მოწმე ექსპერტის ჩვენებას, რომელიც გამოიძახეს დასაბუთებული დასკვნის მისაცემად - აღიარებული პროფესიული კომპეტენციის საფუძველზე - თუ ასეთი ჩვენება კეთილსინდისიერია.

## დასკვნა

წინამდებარე ანგარიშში შევეცადეთ დაგვედგინა, რა არის არასათანა-დო მოპყრობის გამოძიების სისტემაში არსებული ხარვეზების მიზეზი, ასევე განგვესაზღვრა მათი გამოსწორების სტრატეგია, რომელიც გამო-სადეგი იქნება. ამ რეკომენდაციათა შესრულება (და მათი წარმატების მონიტორინგი) შესაძლოა სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი გამოწვე-ვა იყოს. საქართველოს შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ დაკავების იზოლატორებთან მიმართებით ცხ-ადი პროგრესი მიანიშნებს, რომ ევროპული სტანდარტების დანერგვა აშკარად შესაძლებელია, როცა არსებობს ამის კეთილი ნება. პროექტი ესწრაფვოდა შეესწავლა პოლიციელთა მიერ ჩადენილი არასათანა-დო მოპყრობის შესახებ საჩივართა გამოძიების სამართლებრივი ჩარჩოები და პრაქტიკა. ანგარიშში ხაზგასმულია სამართლებრივი, ადმინისტრაცი-ული და პოლიტიკის ის ასპექტები, რომლებიც მოთხოვს ყურადღებას. წამებისა და არასათანა-დო მოპყრობის პრევენცია და აღკვეთა საჭი-როებს ეფექტიან ორგანიზაციულ სტრუქტურებსა და პროცედურებს, ასევე თანამშრომლობას ინსტიტუციებს შორის. მინისტრების, საჯარო მოხელეების, არასამთავრობო ორგანიზაციათა და იურიდიული წარმო-მადგენლების მზაობა და მონდომება გვაფიქრებინებს, რომ ანგარიშში ხაზგასმული საკითხები უპასუხოდ არ დარჩება.